2 7 იანვ.
603/2 N 14.569
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 1
(11 458)
5 – 8 იანვარი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გიორგი ასანიძე

# გიორგი ასანიძე და სხვები... ჟურნალისტთა რჩეულნი

**38 ჟურნალისტი მონაწილეობდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის (პრეზიდენტი — ელგუჯა ბერიშვილი) ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში. სასტუმრო „მეტეხი-პალასში" საზეიმო ვითარებაში დაასახელეს საქართველოს 2000 წლის 10 საუკეთესო ათლეტი, მათ შორის №1 სპორტსმენი და საუკეთესო გუნდი.**

წლის უძლიერეს სპორტსმენად აღიარეს ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი, XXVII ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი, საჩხერელი ძალოსანი ***გიორგი ასანიძე*** — 380 ქულა (მას ყველა ჟურნალისტმა პირველი ადგილი მიაკუთვნა). რეფერენდუმში მეორე შედეგი აჩვენა გორელმა ძიუდოისტმა, ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ***გიორგი ვაზაგაშვილმა*** (292 ქულა). მომდევნო ადგილები ასე განაწილდა:

3. ***აკაკი ჩაჩუა*** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 284
4. ***ელდარ კურტანიძე*** (თავისუფალი ჭიდაობა) — 274
5 ***მუხრან ვახტანგაძე*** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 227
6. ***ვლადიმერ ჭანტურია*** (კრივი) — 202
7. ***ემზარ ბედინეიშვილი*** (თავისუფალი ჭიდაობა) — 116
8. ***კახი კალაძე*** (ფეხბურთი) — 87
9. ***ლევან კობიაშვილი*** — (ფეხბურთი) — 83
10 ***ნინო ხურციძე*** (ჭადრაკი) — 79

წლის რჩეულ გუნდად დასახელებულია ***საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები,*** რომელმაც სტამბოლში, საჭადრაკო ოლიმპიადაზე მეორე ადგილი დაიკავა (მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ნინო ხურციძე, ნინო გურიელი). ქართული სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემია მიეკუთვნა ***ცისანა ნიკოლაიშვილს,*** რომელმაც მიხეილ კაკაბაძესთან ერთად მრავალი წელი იმუშავა „ლელოს" რედაქციაში, როგორც ლიტერატორ-სტილისტმა.

ვეტერანი ლელოელის ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემია კი გადაეცა ***გია ტუხაშვილს,*** რომელმაც შემოქმედებით გზაზე პირველი ნაბიჯი სწორედ ჩვენს გაზეთში გადადგა. ვულოცავთ!

*მარცხნიდან: გიორგი ვაზაგაშვილი, ელდარ კურტანიძე, ვლადიმერ ჭანტურია, მუხრან ვახტანგაძე, გიორგი ასანიძე, აკაკი ჩაჩუა.*





ემზარ ბედინეიშვილი



კახი კალაძე



ლევან კობიაშვილი



ნინო ხურციძე

# ტომაშს დემეტრაძისა სჯერა

ოთხშაბათს, ღამით, ინტერნეტით საინტერესო ცნობა გავრცელდა: ესპანეთის პრემიერადივიზიონის „რეალ-სოსიედადს" სათავეში ჩაუდგა ცნობილი უელსელი საფეხბურთო მწვრთნელი ჯონ ტომაკი. ბოლოს იგი საფრანგეთის „სენტ-ეტიენში" მუშაობდა.

გუშინ დავრეკეთ სან-სებასტიანში, გიორგი დემეტრაძემ ტელეფონით გვაცნობა, რომ ტომაკს „რეალ-სოსიედადში" მეტად გულთბილად დახვდნენ, მაგრამ ახალმისულმა სპეციალისტმა ოფიციალურად განაცხადა: „მე ღმერთი არა ვარ, გუნდი პრემიერადივიზიონში ადგილს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ კოლექტივში იქნება ერთსულოვნება. არ დაგიმალავთ, მინდა „სოსიედადში" მოვიყვანო რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, ვისი ძალებისაც მჯერა, ასეთებად, პირველ რიგში, თურქეთის „ბეშიქთაშის" რამდენიმე ფეხბურთელი მესახება".

გიორგი დემეტრაძისა და ტომაკის გაცნობა იმავე საღამოს მომხდარა. „როცა ახალ მწვრთნელს წარმოდგინეს, მან ინგლისურ ენაზე მითხრა — „რეალისა" და „მანჩესტერის" წინააღმდეგ შენი მატჩები ნანახი მაქვს და შენი შესაძლებლობებისა მჯერაო.



*სურათზე: გუშინ, სან-სებასტიანში ჯონ ტომაკი გუნდს წარუდგინეს. „სოსიედადის" მაისური მას კლუბის პრეზიდენტმა ლუის ურანგამ გადასცა.*

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## ლატვიაში საუკუნის კალათბურთელები დაასახელეს

ლატვიის საკალათბურთო კავშირის გამგეობამ დაასახელა გასული საუკუნის საუკეთესო კალათბურთელები. ესენია — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სამგზის მსოფლიო ჩემპიონი, რვაგზის ევროპის ჩეპიონი ულიანა სემიონოვა და ოლიმპიური თამაშების სამგზის ვიცე-ჩემპიონი იანის კრუმინში.



## კოლუმბიის რჩეული ვალდერამაა

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ექსტრავაგანტური ფეხბურთელი კარლოს ვალდერამა დასახელებულია კოლუმბიის გასული საუკუნის რჩეულ მოთამაშედ. ჟურნალისტების გამოკითხვაში 39 წლის ნახევარმცველმა გაუსწრო ისეთ ცნობილ ოსტატებს, როგორებიც იყვნენ ვილინგტონ ორტისი, ოსკარ კორდობა, რენე იგიტა, ფაუსტინო ასპრილია. ვალდერამას ხმები მისცა რესპოდენტთა 73 პროცენტმა.

## ლიტმანენმა „ლივერპულს" მიაშურა



ნაახალწლევს კლუბი გამოიცვალა ცნობილმა ფინელმა თავდამსხმელმა იარი ლიტმანენმა — თავისუფალი აგენტის სტატუსით იგი „ბარსელონადან" ინგლისის „ლივერპულში" გადავიდა. აი, რა განაცხადა გუშინ BBC-ის კორესპონდენტთან საუბარში ლიტმანენმა: „კატალონურ კლუბში ჩემი კარიერა ვერ აეწყო, მწვრთნელები ხშირად მსვამდნენ სათადარიგოთა სკამზე, ამიტომ დამიმთავრდა თუ არა „ბარსაში" კონტრაქტის ვადა, მაშინვე ინგლისს მივაშურე. ვფიქრობ, პრემიერ-ლიგაში უფრო წარმოჩნდება ჩემი საუკეთესო თვისებები".

## „მონაკოს" ლებეფი სურს

„მონაკოს" მესვეურებმა ოფიციალური წინადადებით მიმართეს ლონდონის „ჩელსის" მეპატრონეებს ფრანგი მცველის ფრანკ ლებეფის ტრანსფერის განხორციელების შესახებ.



* * *

**● რომის „ლაციოს" გადაწყვეტილი აქვს 3,3 მილიონი დოლარი გადაუხადოს ლისაბონის „ბენფიკას" ჩეხი თავდამსხმელის კარელ პობორსკის შესაძენად.**

* * *

**● ცნობილმა ფრანგმა ვეტერანმა, ამჟამად მწვრთნელმა ალან ჟირესმა ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიის კლუბ „ლოზანასთან".**

* * *

**● დორტმუნდის „ბორუსიასთან" კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი ცნობილმა გერმანელმა მცველმა, 35 წლის იურგენ კოლერმა. მაშასადამე, მისი ტრანსფერი ვლადიკავკაზის „ალანიაში" არ შედგება, იტყობინებიან უცხოეთის სააგენტოები.**

# ძოძუაშვილი და ყიფიანი ისევ ერთად არიან

## საფეხბურთო ცენტრი ქუთაისში გადადის?

ის, რაც მოხდა, არ იყო ძნელადპროგნოზირებადი — ჟურნალისტთა წრეში კარგა ხანია მუსირებს ხმები თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის, რევაზ ძოძუაშვილის ქუთაისის „ტორპედოში" გადასვლის შესახებ. ერთი პერიოდი, დაახლოებით ორისამი კვირის წინათ, როდესაც რკინიგზელთა კლუბის პრეზიდენტმა აკაკი ჩხაიძემ გუნდის ერთდროულად რამდენიმე მწვრთნელი სამსახურიდან დაითხოვა, ისიც კი ითქვა, რომ ამ „შავ სიაში" რევაზ ძოძუაშვილის გვარიც გაერიაო, მაგრამ მერე, რაღაც გარემოებათა გამო, პრეზიდენტს პოზიცია შეუცვლია. ასე თუ ისე, როგორც ეტყობა, კლუბის პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს შორის უთანხმოებანი (ალბათ, უფრო ფინანსურ საკითხებზე) დაძლეული არ იყო და აი, საფეხბურთო წრეებში გავრცელდა ინფორმაცია რევაზ ძოძუაშვილის ქუთაისის „ტორპედოში" გადასვლის შესახებ. ავტოქარხნელთა კლუბის მეპატრონეთა გადაწყვეტილება მეტად ორიგინალურია — ისევე, როგორც ნაკრებში, ყიფიანი და ძოძუაშვილი ორივე ერთ თანამდებობას, გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებენ. არაოფიციალურად ისიც კი შევიტყვეთ, რომ „ლოკომოტივის" ძირითადი შემადგენლობის ერთდროულად 5-6 ფეხბურთელი აპირებს ქუთაისში გადასვლას. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად წარმატებული საშემოდგომო მარათონისა, „ლოკომოტივს", ალბათ, გაუჭირდება ეროვნულ ჩემპიონატში პირველი ადგილი შეინარჩუნოს, ისევე როგორც წარმატებით დაძლიოს შემდგომი სათასო ბარიერები. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# მილოცვები

ქ. თბილისის მერიის სპორტის, აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პრორექტორს სამეცნიერო დარგში, პროფესორ ***გურამ ძაგანიას.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის, აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტს, ძალოსნობაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს და ეროვნული ფედერაციის გენერალურ მდივანს ***შოთა ბუაძეს.***

*2001 წლის დადგომა „ლელოს" რედაქციას ტრადიციისამებრ ორიგინალური საახალწლო-საფეხბურთო ბარათით მიულოცა ფიფამ. მილოცვას ხელს აწერენ ფიფას პრეზიდენტი და გენერალური მდივანი.*




## ლაურეატები აჭარაშიც გამოავლინეს

*იხ. მე-2 გვ.*

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 7 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

რეპლიკა

## ვისია, ვისია, ოლიმპიელი?

ნათქვამია, დიდ კაცს, შორეული, მანამდე მათგან მივიწყებული ნათესავებიც გამოუჩნდებიანო, ის კი არა, შეიძლება ყვავი-ჩხიკვის მამიდამაც კი გაიხსენოს და დაიჩემოს, აი, ვინ გვყავსო. ასე არიან ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორებიც. მოიპოვებენ ეს სპორტსმენები სახელს და უმალვე ყველას გაახსენდება – სად დაბადებულა, სად უსწავლია, რომელი სპორტსაზოგადოების წევრი ყოფილა ადრე თუ გვიან. არა, ცუდი ამაში ნამდვილად არაფერია, ოღონდ ეგაა, ყველას დავაჟკაცებული და დიდების შარავანდედით მოსილი ახსენდება უკვე საამაყო სპორტსმენი, მანამდე რომ მივიწყებული ჰყავდათ. ხელშეწყობა – დახმარებას ვგულისხმობთ. ბევრი მათგანი თბილისში აღიზარდა და დაოსტატდა, როგორც სპორტსმენი, დედაქალაქმა ყველაფერი გაუკეთა, რაც შეეძლო და ზოგჯერ ისიც ხდება, უკვე სახელოვანი ათლეტის ვინაობის მხოლოდ წარმომავლობას იხსენებენ, სხვათა დამსახურება და ლომის წილი კი ავიწყდებათ; რაც ხშირად გამხდარა უსიამოვნების მიზეზი.

ადრე ეს საკითხი როგორღაც მოწესრიგებული იყო – სპორტსმენის წარმომავლობის და პირველი მწვრთნელის დაფიქსირების ვადების წესი მოქმედებდა. როგორც ჩანს, ამ თემას კვლავ უნდა მიუბრუნდეს სპორტის უმაღლესი სახელმწიფო ორგანო – ჩვენი დეპარტამენტი. რაც მისაღებია, აპრობირებულია და ყავლი არ გასვლია, დავტოვოთ, უარსაყოფს გამოვეთხოვოთ და ახალი დროის მოთხოვნების შესაბამისად განვამტკიცოთ. უმთავრესი კი ალბათ ის უნდა იყოს, თუ რომელი ქალაქი, რაიონი, საერთოდ, რეგიონი და სპორტული საზოგადოება თუ უწყება როგორ ეხმარება (ცხადია, ფინანსურად) სპორტსმენს, რომლის წარმომავლობითაც ისინი თავს იწონებენ. სპორტსმენთა მონაპოვრით სიამაყის უფლება, რა თქმა უნდა, ყველას აქვს, მაგრამ უკეთურობაა იჩემებდე წარმატებას მაშინ, როცა წლების მანძილზე ერთი თეთრიც არ გაგიღია ამ სპორტსმენისა და, საერთოდ, ქართული სპორტის სასიკეთოდ.

გამოიწერეთ
2001 წლისათვის!

## XX საუკუნის რჩეული სპორტსმენები აჭარაში


რუსუდან სიხარულიძე


როსტომ აბაშიძე

**ქალთა შორის:**
1. რუსუდან სიხარულიძე — ტანვარჯიში
2. ვალენტინა იურკინა — ველო (ტრეკი)
3. ხათუნა ფუტკარაძე — მშვილდოსნობა
4. სტელა პრიახინა — ველო (გზატკეცილი)
5. ვალენტინა სერედა — ნიჩბოსნობა
6. ასმათ დიასამიძე — მშვილდოსნობა
7. ლამარა ტუღუში — მძლეოსნობა
8. დიანა დარჩია — ჭადრაკი
9. კარინა ბაგდასაროვა — აფროსნობა
10. რეგინა არამიანცი — ბადმინტონი.

**ვაჟებს შორის:**
1. როსტომ აბაშიძე — ბ/რ ჭიდაობა
2. დავით გვანცელაძე — ბ/რ ჭიდაობა
3. რევაზ ჩელებაძე — ფეხბურთი
4. მუხრან ვახტანგაძე — ბ/რ ჭიდაობა
5. სარქის სარხოიანი — მაგ. ჩოგბურთი
6. პეტრე ბრეუსი — წყალბურთი
7. ალექსანდრე კილაძე — კალათბურთი
8. იგორ ომელჩენკო — ცურვა
9. ვალერი ალთაბაევი — კალათბური
10. ანატოლი ჯიჯავაძე — აკრობატიკა
ანზორ კავაზაშვილი — ფეხბურთი.

**საუკეთესო მწვრთნელები:**
1. აკაკი მიმინოშვილი — ბ/რ ჭიდაობა
გიორგი თარგამაძე — ბ/რ ჭიდაობა
2. ანგელინა გაბრიაძე — ტანვარჯიში
თენგიზ ბოლქვაძე — ტანვარჯიში
3. ვალენტინ ჩხარტიშვილი — ფეხბურთი
4. გიორგი კალანდაძე — წყალბურთი
პავლე იოსელიანი — ცურვა
5. ტატიანა სერგიაშვილი — კალათბურთი
6. ვალენტინ იუხნევიჩი — ცურვა
7. კარლო გუგუშვილი — ჩოგბურთი
8. ლევან ვერულიძე — ფეხბურთი
ვალერიან მჟავია — ფეხბურთი
9. გოდერძი ბოლქვაძე — ბ/რ ჭიდაობა
ილია ტუღუში — ბ/რ ჭიდაობა
10. ნიკოლოზ ზოლოტარიოვი — ველო.

**მსაჯები** (ანბანით):
1. თენგიზ ბოლქვაძე — აერობიკა
2. ილია ბეზროდნი — მძლეოსნობა
3. გიორგი თარგამაძე — ჭიდაობა
4. პავლე კაზანოვსკი — ცურვა, წყალბურთი
5. რევაზ კაკაბაძე — კალათბურთი
6. გიორგი კალანდაძე — ცურვა, წყალბურთი
7. ივანე კუსიდი — ფეხბურთი
8. შოთა მამინაშვილი — ველოსპორტი.
9. რუსუდან სიხარულიძე — ტანვარჯიში
10. გივი ზამბახიძე — ციგაობა.

**სპორტული მოღვაწეები**
(ანბანით):
1. თენგიზ ბოლქვაძე; 2. ვახტანგ იორაშვილი, 3. ვაჟა კვაჭაძე, 4. სტანისლავ ლოგინოვი, 5. შოთა მამინაშვილი, 6. ზია მამუჭაძე, 7. შალვა მჟავანაძე, 8. შალვა პატარაია, 9. გივი ურუშაძე, 10. რუსუდან ჩახვაძე.

## თბილისის სპორტული ორგანიზაციის კიდევ ერთი ახალი სახეცვლილება

ძიება, იცოცხლეთ, კარგი რამ არის, თუკი, ცხადია, მიაგნებ სწორედ იმას, რაც გაამართლებს და გაგახარებს. ზუსტად ხუთი თვისა და ერთი კვირის თავზე, თბილისის მერმა ივანე ზოდელავამ გაუქმებულად გამოაცხადა 2000 წლის 21 ივლისის №23 ბრძანების საფუძველზე შექმნილი თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური და მის ნაცვლად, იმავე წლის 27 დეკემბრის ბრძანებით, შეიქმნა ახალი — თბილისის მერიის სპორტის, აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური.

ადრე, ასეთ გაერთიანებაზე იყო მინიშნებები, მაგრამ, მითქმა-მოთქმა, რეალობად მხოლოდ ახლა იქცა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიახლე და არიალის გაზრდა, საქმეს სასიკეთოდ წაადგება. პირდაპირ უნდა ითქვას, უმდიდრესი ტრადიციებისა და გამოცდილების თბილისის სპორტული ორგანიზაცია, თავისი მაღალკვალიფიციური და ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებული ხელმძღვანელი კადრებით, უთუოდ მოიმკის სასურველ შედეგს ამიერიდან საქმიანობის უფრო ფართო ფრონტზე.

ფარიკაობა | კადეტთა თბილისის ღია პირველობა

## საუკუნე იარაღის ჟღარუნით გააცილეს

გასული წლის ბოლო დეკადაში ჩატარებულმა ამ ასპარეზობამ 100-მდე ნორჩ მოფარიკავეს მოუყარა თავი. მონაწილეობდნენ თბილისის, რუსთავის და აფხაზეთის წარმომადგენლები. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: ***რაპირა. გოგონები:*** 1. ანა ძნელაძე, 2. ნატო კობიაშვილი, 3. ეკა ვერხვიაშვილი და მადონა ჩაბრაძე (ყველა — თბილისი); ***ბიჭები:*** 1. გიორგი გრიგოლია (აფხაზეთი), 2. რომან ლომიძე (თბ), 3. ბექა ბექაური (აფხ) და ლევან ჯიქია (თბ). ***დაშნა. გოგონები:*** 1. ქეთევან სილაგაძე, 2. ნატო ხრიკინა, 3. ნატო მაღრაძე და მარიამ გაგიევა (ყველა-თბ); ***ბიჭები:*** 1. გიორგი სილაგაძე, 2. დავით მამულაშვილი, 3. კახა გოცირიძე და მამუკა მახაშვილი (ყველა — თბ). ***ხმალი:*** 1. დავით მთვარელიძე, 2. ნიკა ბახსოლიანი, 3. კახა მაღრაძე და გიორგი აირაპეტიანი (ყველა — თბ).



შეჯიბრების ორგანიზატორი იყო თბილისის მერიის განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის ფარიკაობის სპორტსკოლა (დირექტორი ლუდვიგ ღაღანიძე).

*სურათზე: მარცხნიდან — ნ. კობიაშვილი, ა. ძნელაძე, ე. ვერხვიაშვილი, მ. გაგიევა.*

წყალბურთი | რუსეთის ღია პირველობა ჭაბუკთა შორის

## მართლა საცოდაობაა, ამ ბიჭებს არავინ დაეხმაროს...

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდი „ლაგუნა-ვერე", რომელსაც ნიჭიერი მწვრთნელი სოსო მაისურაძე ამზადებს, ძირითადად 1985-86 წლებში დაბადებული სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული და თანატოლთა შეჯიბრებებში არაერთი წარმატება მოუპოვებია საერთაშორისო სარბიელზე. სწორედ ეს გუნდი გახდა რუსეთის ღია პირველობის ვერცხლის პრიზიორი, დსთ-ს ქვეყნებისა და უკრაინის პირველობებში კი უძლიერესის სახელი მოიპოვა. და აი, 2000 წელი კიდევ ერთი წარმატებით დაგვირგვინდა — ჩვენმა გუნდმა ქ. ძერჟინსკში გამართულ რუსეთის ღია პირველობის ზონალურ ტურნირში პირველობა და შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის საგზური მოიპოვა.


ავთანდილ ბაზაძე

ქართველმა ჭაბუკებმა ბრწყინვალე შედეგით დაასრულეს ეს ტურნირი — ყველა შეხვედრა მოიგეს. მასპინძლებს სძლიეს 7:3 (დავძენთ, რომ ძერჟინსკელთა ნაკრები ნოვგოროდელებითაც იყო გაძლიერებული), ასტრახანელებს — 8:4, მოსკოვის „იუნოსტს" — 9:6, ჩელიაბინსკის „სპარტაკს" — 5:0, ტუაფსეს სპორტსკოლას — 5:0 და იმავე ტუაფსეს „სატურნს" — 9:5.

„ლაგუნა-ვერემ" 12 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ მასპინძლებს 3 ქულით გაუსწრო, მესამე იყო ასტრახანის (7), მეოთხე — მოსკოვის „იუნოსტის" (6), გუნდები. კიდევ ორ სხვა ზონაში გამარჯვებული 4-4 გუნდი მომდევნო ეტაპზე უკვე ორ ქვეჯგუფს შექმნის, სადაც 6-6 გუნდი ითამაშეს. ჩვენები ვოლგოგრადში იასპარეზებენ, მეორე ქვეჯგუფს კი ისევ ძერჟინსკი უმასპინძლებს. ეს შეხვედრები წლეულს, მარტის ბოლოს გაიმართება.

ს. მაისურაძეს ვთხოვეთ კომენტარი გაეკეთებინა ძერჟინსკში გამართული ტურისთვის. — ის, რომ ყველა მატჩი მოვიგეთ, თავისთავად მრავლისმეტყველია. უსახსრობის გამო, ნაცვლად 15-ისა, მხოლოდ 10 მოთამაშე წავიყვანეთ, მეკარე ავად გაგვიხდა, შემცვლელი არ გვყავდა და კარში ჩადგა მოედნის მოთამაშე, გუნდის კაპიტანი თამაზ მანძულაშვილი, ორი მატჩი ასე მოვიგეთ: ამ წყალბურთელის გარდა, ჩინებულად ითამაშეს აგრეთვე ავთანდილ ბაზაძემ, რომელსაც საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა, მეკარე ზურაბ ჭუმბურიძემ და ზურაბ რურუამ. რურუა ყველაზე უმცროსი წყალბურთელი იყო ამ ტურნირზე — იგი 1987 წელსაა დაბადებული. დაიმახსოვრეთ ეს გვარი და სახელი, ზურაბი დიდი წყალბურთელი დადგება, მამის ღირსეული მემკვიდრე გახდება — ამბობს მწვრთნელი.


თამაზ მანძულაშვილი

ზურაბ რურუას მამა კი, არც თუ შორეულ წარსულში ცნობილი თბილისის დინამოელი წყალბურთელი და კაპიტანი დათო რურუა გახლავთ. სწორედ მას მიუძღვის ლომის წილი გუნდი რომ ძერჟინსკში გაემგზავრა. რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, ტურნირში მონაწილეობა თვით სპორტსმენთა მშობლებმა დააფინანსეს.

ძერჟინსკში გუნდს ახლდა აგრეთვე მეორე მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ირაკლი კიკალიშვილი, რომელიც ამ დონის ერთადერთი მსაჯი იყო ტურნირზე.


ზურაბ ჭუმბურიძე


ზურაბ რურუა

მარტი შორს აღარ არის. გაემგზავრება თუ არა ჩვენი გუნდი ვოლგოგრადში II ეტაპის მატჩებზე: რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ეს იმაზეა დამოკიდებული, გამოინახება თუ არა საჭირო თანხები. არადა, მართლა საცოდაობაა, ამ ბიჭებს არავინ დაეხმაროს...

***ა ისინიც, ვინც ძერჟინსკში ისახელა თავი: ზურაბ ჭუმბურიძე (მეკარე), თამაზ მანძულაშვილი (კაპიტანი), სანდრო შარაშიძე, ავთანდილ ბაზაძე (მცველები), ზურაბ რურუა, გურამ მებუკე, გიორგი ჩუბინიძე (შუა ხაზი), ირაკლი ბაზაძე, გურამ კოტარია, გიორგი ჩხეიძე (სამივე — თავდასხმა).***

ირაკლი ხანდამიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი


## ტრიუმვირატი ფეხბურთის სამსახურში



ზაზა დიდებაშვილი (მარცხნივ) და დათო ქარაული

„სამთა კავშირი“ — ასე შეიძლება შევაფასოთ ის ურთიერთობა, რაც საქართველოს სამედიცინო უნივერსიტეტს, საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ და საფეხბურთო სკოლას „ვაკე 91“-ს ერთმანეთთან აკავშირებს. მათი თანამშრომლობით, დედაქალაქში, მომავალში კიდევ ერთი საერთაშორისო დონის საფეხბურთო სკოლა გვექნება. ჩვენი საუბარი „ვაკე 91“-ის ხელმძღვანელებთან **ზაზა დიდებაშვილთან** და **დავით ქარაულთან** სწორედ ამ ურთიერთობის ჩამოყალიბებით დავიწყეთ.

**ზაზა დიდებაშვილი:** სკოლა კოტე დოლიძემ ჩამოაყალიბა, მან მისცა გეზი სკოლის მუშაობის სტილსა და პრინციპებს. მალე ბატონი კოტე ამერიკაში გაემგზავრა და სკოლის სრულყოფა დამოუკიდებლად გავაგრძელეთ. თავიდანვე სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონზე განვთავსდით და დღემდე მედიკოსებთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს. ნელ-ნელა, აგურ-აგურ ვაშენებთ ერთად აქაურობას და სულ ცოტა ხანში სკოლას და უნივერსიტეტს კეთილმოწყობილი ბაზა ექნება. მინდა თანადგომისთვის მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტის რექტორს რამაზ ხეცურიანს, გიზო დოლიძეს, გია ავალიშვილს, ზაურ ფხალაძეს. ჩვენ შეთანხმებულად ვმუშაობთ. „ვიტ ჯორჯიასთან“ მეორე წელია ვთანამშრომლობთ და დღეს ფაქტობრივად „ვაკე 91“ „ვიტ ჯორჯიას“ საფეხბურთო სკოლაა. რამდენიმე მწვრთნელი პარალელურად „ვიტ ჯორჯიას“ ფარმკლუბის მწვრთნელიცაა. ჩვენი მთავარი ამოცანა სასელექციო მუშაობაა — პერსპექტიულ ბავშვებს ვაწვდით „ვიტ ჯორჯიას“. ამ საფეხბურთო კლუბში გურამ რუხაძის თაოსნობით, სერიოზული ხალხი მუშაობს და ჩვენი საქმიანობის განმსაზღვრელიც მხოლოდ ფეხბურთი, შრომა და ნიჭიერი მოთამაშეების გამოვლენა და აღზრდაა.

● ***სამუშაოები გაგიჩაღებიათ, ამასთან ტურნირებშიც მონაწილეობთ...***

**ზაზა დიდებაშვილი:** სასწავლო პროცესს არ ვწყვეტთ. ბაზის მშენებლობას პარალელურად ვაწარმოებთ. სტადიონს ტრიბუნები გაუკეთდება, გვექნება ორი წიდის და ერთი ხელოვნურსაფარიანი მინდვრები.

**დავით ქარაული:** — მატერიალური საშუალებებით „ვიტ ჯორჯიას“ კლუბი გვეხმარება. გვამარაგებს სპორტული ინვენტარით, ფორმებით, ბურთებით. წიდისსაფარიანი ერთი მინდორი მათი სახსრებით გაკეთდა.



წიდსაფარიანი მინიფეხბურთის მოედანი — ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

დავასრულებთ სანტექნიკურ სამუშაოებს, სტადიონს ექნება დრენაჟი, სარწყავი სისტემა, დავიწყეთ ადმინისტრაციული შენობის მოპირკეთება, გვექნება გასახდელები, სამსაჯო და საექიმო ოთახები, აუზი. განთავსდება სარეკლამო დაფები, ვთანამშრომლებთ „კოკა-კოლასთან“, „ჯეოსელთან“, სხვა ფირმებთან. გვსურს ყველაფერი მაღალ დონეზე გავაკეთოთ.

● ***როგორია სკოლის კონტინგენტი?***

**ზაზა დიდებაშვილი:** სკოლაში 11 ასაკობრივი ჯგუფია. 1983-93 წლებში დაბადებულ ბავშვებს 12 მწვრთნელი ავარჯიშებს. სულ გვყავს 13 გუნდი, რომლებშიც 300-მდე ბავშვია გაერთიანებული. ვმონაწილეობთ ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაში, 7 მატჩიდან შვიდივე მოვიგეთ და ფინალში ვითამაშებთ. ვთამაშობთ ჩოხელისა და მეტრეველის თასზეც, ქალაქის პირველობაზე. ყველა მწვრთნელს თავისი ჯგუფი ჰყავს — თამაზ ოდიშელიძე მეკარეებს ამზადებს, მერაბ კოქლაშვილი, გურამ პავლიაშვილი, ირაკლი ჩუხუა, კახა პაპავაძე, ავთო ლოლაშვილი, კობა ბაბინაშვილი, ბესო არველაძე, თემურ ფოცხვერია, მიხეილ აბიჩხრიშვილი, სხვადასხვა ასაკის ფეხბურთელებთან მუშაობენ. არ შეიძლება თბილი სიტყვებით არ მოვიხსენიო სკოლის ადმინისტრატორი ალექსანდრე ჯიქია. მის მუხლჩაუხრელ შრომაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. იგი სკოლის სამეურნეო საკითხებს განაგებს.

● ***როგორც ვიცით, საერთაშორისო ტურნირებშიც მონაწილეობთ.***

**ზაზა დიდებაშვილი:** 6 წელია გამოვდივართ დანიისა და შვედეთის საერთაშორისო ტურნირებში. ერთხელ ოქროს მედლები მოვიპოვეთ, სამჯერ — ვერცხლი და ბრინჯაო. ჰოლანდიაში ჰარლემის, ფინეთში კი ჰელსინკის თასი მოვიგეთ. ორი წელია პეტერბურგში ლევ იაშინის საერთაშორისო ტურნირზე ვთამაშობთ. ახლაც მოწვევები მივიღეთ დანიიდან და შვედეთიდან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შემოგვთავაზა ინგლისში საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა, რომელიც მაისში გაიმართება. მოკლედ, უცხოური კონტაქტების სიმცირეს არ ვუჩივით. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ყველაფერს ვიკლებთ და უცხოურ ტურნირებში გამოვდივართ. როდესაც ერთი თვის განმავლობაში 18-20 მატჩს თამაშობ ბრაზილიელ, ინგლისელ, დანიელ, გერმანელ და სხვა ქვეყნების თანატოლებთან, გაცილებით მეტ ემოციურ, ფიზიკურ და ტექნიკურ თვისებებს იძენ, ვიდრე საქართველოში მთელი წლის ვარჯიშის განმავლობაში, ამის გარდა, უცხოეთში ბავშვი პიროვნულადაც ყალიბდება...

... ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვაკელებს წარმატება ვუსურვოთ და, იმედია, ეროვნული ნაკრების პირველ „ვაკელ“ წევრს ზურაბ მენთეშაშვილს სხვებიც შეემატებიან...

**მიხეილ საბახტარიშვილი**



ბათუმის განათლების განყოფილების გუნდი

### მიხეილ მესხის თასის გათამაშება

## წაუგებლად ფინალურ ტურნირში

დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშების პირველი წრის შეხვედრები ჭაბუკთა შორის (1986 წელს დაბადებულნი) მიხეილ მესხის თასზე აჭარა-გურიის ზონაში, სადაც ცხრა გუნდი იბრძვის ორი ფინალური საგზურისათვის.

თავიდანვე სამი გუნდი — ლანჩხუთის „გურია — XXI საუკუნე“, ბათუმის „დინამოსა“ და ბათუმის „განათლების განყოფილების“ კოლექტივები აცხადებდნენ პრეტენზიას ფინალში გასვლაზე.

I წრის შემდეგ 22 ქულით პირველ ადგილზეა განათლების განყოფილების გუნდი, მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად 21 და 17 ქულით მიდიან „გურია — XXI საუკუნე“ და „დინამო“.

— თავიდანვე დავისახეთ გვებრძოლა I ადგილისათვის. ბიჭები მთელი მონდომებით გამოდიოდნენ სათამაშოდ. მოვიგეთ 7 თამაში, მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშეთ ფრედ, წაგებით კი არც ერთი მატჩი არ წაგვიგია. მეტოქის კარში გავიტანეთ 39 გოლი, ხოლო საკუთარში მივიღეთ 5.

— გამოვყოფდი მეკარე ჯაბა მიქელაძეს, ვახტანგ ქირიას, როლანდ ფევაძესა და ირაკლი ქობალიას, გოლეადორებს — ავთო ხარაზსა და სოსო ფხაკაძეს, რომლებმაც შესაბამისად 9 და 8 გოლი გაიტანეს.

დასკვნითი ეტაპი ადრე გაზაფხულზე მარტის პირველ რიცხვებში აიღებს სტარტს — გვითხრა ლიდერი გუნდის მწვრთნელმა რევაზ დარახველიძემ.

**ოთარ მურვანიძე,** გაზეთ „ლელოს“ საკ. კორესპონდენტი აჭარაში.

### ბავშვთა ლიგა. გივი ჩოხელის თასის გათამაშება

## ასეთ გუნდს წინ ვინ დაუდგებოდა...

სამთვიანი პაექრობის შემდეგ დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშების I წრის მატჩები ფეხბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის (1985 წელს დაბადებულნი) გივი ჩოხელის სახელობის თასზე. დასავლეთ ზონაში ასპარეზობდა 14 გუნდი.

კარგად აიღო სტარტი ბათუმის „დინამომ“ (მწვრთნელი ომარ ნაგერვაძე), რომელმაც 34 ქულით ზონაში I ადგილი დაიკავა. აი რა უთხრა ომარ ნაგერვაძემ „ლელოს“ კორესპონდენტს:

— მთავარ მეტოქეს, სამტრედიის „ლოკომოტივს“ 7 ქულით გავუსწარით. ჩვენთან მაღალია სათამაშო დისციპლინა, ამიტომ იყო, რომ 13-დან 11 მატჩი მოვიგეთ, ერთი დავასრულეთ ფრედ და ერთიც წავაგეთ. კარგად ითამაშეს მეკარე კახა ახალაძემ, მცველებმა — გიორგი გორგილაძემ და ოთარ ფედირჩკინმა, ნახევარმცველებმა — გოჩა მახარაძემ და კობა ქავთარაძემ, თავდამსხმელებმა — ბექა ძნელაძემ და გიორგი ნაგერვაძემ, ყველა ჩამოთვლილი ფეხბურთელი თანატოლთა საქართველოს ნაკრების კანდიდატები არიან. დავძენ, რომ ნაგერვაძემ 19 გოლი გაიტანა მეტოქის კარში, ძნელაძემ — 15.

**ოთარ მურვანიძე,** ბათუმი. „ლელოს“ საკ. კორ.



ბათუმის „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი

## სამტრედიელები ყირიმში

„იბერიის“ გასაჭირი გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, მაგრამ, როგორც იტყვიან, იმედი ბოლოს კვდება და, არც სამტრედიელთა პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლაიშვილი შეხვედრია ახალ წელს ოპტიმიზმის გარეშე — „მაქსიმალურად ვეცდებით უმაღლეს ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. ნურავის ეგონება „იბერია“ განახლებულ სეზონშიც ისეთივე ადვილი დასამარცხებელი, როგორც ადრე იყო.“ რამდენად მყარი საფუძველი ექნება კლუბის თავკაცის ამ განცხადებას, ამას დრო გვიჩვენებს. გუნდი კი სრული შემადგენლობით 8 იანვარს ქვიშხეთში შეიკრიბება და სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს. პირველი ეტაპი ქვიშხეთსა და ბაკურიანში იანვრის ბოლომდე გასტანს. 4 თებერვლიდან დაგეგმილია ყირიმის ნახევარკუნძულზე ალუშტაში კიევის „დინამოს“ ყოფილი მეკარის იურკოვსკის სახელობის ტურნირში მონაწილეობა. „იბერია“ ყირიმში ორი კვირა დარჩება. 18 თებერვალს შინ დაბრუნდება და სეზონის განახლებამდე ისევ ქვიშხეთში ივარჯიშებს.



მომენტი განვლილი მატჩიდან

# კალაძემ მათეუსის გვერდით ითამაშა

იაპონიის ქალაქ იაკოჰამაში მსოფლიოსა და კორეა-იაპონიის გაერთიანებული ნაკრებების ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი გაიმართა. 50 ათასმა მაყურებელმა ლამაზი ფეხბურთი იხილა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ორთაბრძოლა მშვიდობიანი შედეგით — 1-1 დასრულდა. შეხვედრის მე-17 წუთზე თავი გამოიჩინა სამხრეთკორეელმა კო იუნგ სუმ, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 18 წუთით ადრე ხორვატმა რობერტ პროსინეჩკიმ საპასუხო გოლი გაიტანა.

**კორეა-იაპონია: კიმ ბიუნგ ჯი (ტაკაკუვა, 46), აკიტა (ლი ლიმ სინგი, 46), მაცუდა, იუნგ კვანგ მინი (პარკ ნამ იული, 46), ჰატორი, მიო ჯინი, კო იუნგ სუ, ნაკატა (კანგ ჩული, 46), კიმ დო ჰონი (მიურა, 55), ნაკაიამა, ჩოი იონგ სუ.**

**მსოფლიო ნაკრები: ჩილავერტი (მეოლა, 56), ბიულენტი (მარსიო სანტუში, 46), მათეუსი, კალაძე, ვინტერი, ორტეგა, როი (ტროტა, 65), ემრე, ბოლანიო, ბაბანგიდა, კევასი (პროსინეჩკი, 46).**

**არიგო საკი (მსოფლიო ნაკრების მწვრთნელი):** „ეს იყო ლამაზი ფეხბურთი. ვფიქრობ, მატჩმა ორგანიზატორების იმედები გაამართლა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრმა ვარსკვლავმა მოუცლელობის საბაბით თავი აარიდა იაპონიაში ჩამოსვლას. ჩემს გუნდში გამოვყოფდი უბერებელ მათეუსს, ტექნიკურ კალაძეს და მდიდარ იმპროვიზატორ ორტეგას“.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## მორიგი დოპინგ-სკანდალი გერმანიაში

გერმანიაში ისევ სკანდალია და საქმე კვლავ დოპინგს ეხება. ამჯერად დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი უჩვენა დორტმუნდის „ბორუსიას“ ფეხბურთელს იბრაგიმ ტანკოს ანალიზებში. იგი, თურმე, ჰაშიშს და მარიხუანას ეწეოდა.

რათა ჩაეფარცხათ ინციდენტი, დორტმუნდის კლუბის მესვეურებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 23 წლის განელმა ფეხბურთელმა მართლაც მოსწია მარიხუანა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ.

„ბორუსია“ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და აი, რატომ. „ფრაიბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ როგორც იქნა დაითანხმა ეს კლუბი, რათა ტანკოს ტრანსფერი განეხორციელებინა. ამ სკანდალის შემდეგ კიდევ ექნება ფინკეს სურვილი შეიძინოს განელი მოთამაშე?



იბრაგიმ ტანკო

## მათეუსის რეკორდმა ნახევარი წელი გაძლო

**მაშ ასე, სახელგანთქმული ლოთარ მათეუსის რეკორდი, რომელიც ეხება ეროვნულ ნაკრებში მატჩების ჩატარების რაოდენობას, მომავალ კვირას დაემხობა და ამას ეგვიპტელი ხუსამ ხასანი გააკეთებს. შაბათს იგი გაერთიანებული არაბეთის ემირატების წინააღმდეგ გამოვა, ხოლო ორი დღის შემდეგ ზამბიის ნაკრებს შეეჭიდება. თუ ასე მოხდა, ხასანს თავის კარიერაში 151 მატჩი დაუგროვდება და იგი ერთით გადაუსწრებს მათეუსის მიღწევას.**

## მოკლედ

**● „პარი სენ-ჟერმენის“ ახალდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა გუნდში სათამაშოდ მიიპატიჟა ლონდონის „ჩელსის“ ფრანგი მცველი მარსელ დესაი. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა მადლობა გადაუხადა ფერნანდესს ნდობისათვის, მაგრამ იქვე ოფიციალურად განაცხადა, რომ „ჩელსიდან“ წამოსვლას არ აპირებს.**

**● ლევერკუზენის „ბაიერის“ ახალი მწვრთნელის ბერტი ფოგტსის ინიციატივით, გერმანულმა კლუბმა 1 მილიონ 450 ათასი მარკა გადაიხადა სოფიის ცსკა-ს 19 წლის ფეხბურთელ დიმიტარ ბერბატოვში.**

## „ვასკო და გამას“ – მერკოსურის თასი

**სამხრეთ ამერიკის 20 უძლიერესი კლუბი მონაწილეობდა მერკოსურის თასის გათამაშებაში, რომლის დასკვნითი ნაწილი ბრაზილიელების წარმატებით აღინიშნა. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რიო-დეჟანეიროს „ვასკო და გამა“ და სან-პაულუს „პალმეირასი“. ეს შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა და „ვასკოს“ გამარჯვებით დასრულდა — 4:3. ვეტერანი რომარიო, რომელსაც ახლა არაერთი ევროპული კლუბი ეპატიჟება, სამი გოლის ავტორი გახდა.**

## პერიკო ალონსო ვერ გადარჩა

ესპანეთის „რეალ-სოსიედადის“ მწვრთნელი პერიკო ალონსო, კლუბისა, სადაც გამოდიან რუსი ნახევარმცველი დმიტრი ხოხლოვი, ლიტველი თავდამსხმელი ედგარას იანკაუსკასი და ქართველი გიორგი დემეტრაძე, გადააყენეს. ეს იმით აიხსნება, რომ კლუბი ესპანეთის ჩემპიონატში უკანასკნელ, მეოცე ადგილზეა.

## ბულგარელის ხუთწლიანი კონტრაქტი

**ბულგარეთის ნაკრებისა და სოფიის „ლოკომოტივის“ მცველი გიორგი პეევი კიევის „დინამოში“ გადავიდა. მან უკრაინულ კლუბთან ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. პეევმა უნდა გამოასწოროს კიეველთა დაცვის ხარვეზი.**

## რონალდო, რა თქმა უნდა, სხვაა

6 იანვარს კვიპროსზე შეკრება დაიწყო იაროსლავლის „შინიკმა“, რომლის შემადგენლობაში 30 ფეხბურთელი ემზადება. მათ შორის არიან ბრაზილიელი რონალდო და რობსონი.

— ისინი, ცხადია, ის ცნობილი ბრაზილიელი ოსტატები არ არიან, თუმცა, ვინ იცის — იხუმრა „შინიკის“ მთავარმა მწვრთნელმა პოგორელოვმა.

## კურიოზიც ამას ჰქვია!

**2000 წელს შეიძლება ასეთი დიდი კურიოზი საფეხბურთო მინდვრებზე არც კი მომხდარა. რუმინეთის პირველობის XIII ტურში ბუქარესტის „დინამო“, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი, „ფორეშტის“ ხვდებოდა და წინ იყო ანგარიშით 4-0. ძნელი სათქმელია, როგორ მოახერხა, მაგრამ საბოლოოდ „დინამომ“ მაინც წააგო ანგარიშით 4-5!**



# „ბოკა ხუნიორსი“ – 19, „რივერ პლეიტი“ – 29

**თუ ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებს არ გავითვალისწინებთ, ყველაზე დიდ ინტრესს სპორტულ სამყაროში არგენტინისა და ბრაზილიის ჩემპიონატები იწვევს. დღეს ჩვენ არგენტინულ ფეხბურთზე ვისაუბრებთ.**

2000 წელი არგენტინულ ფეხბურთში შევიდა როგორც პოპულარულ „ბოკა ხუნიორსის“ ტრიუმფის პერიოდი. მან სრული წარმატებით დაასრულა ორი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება: ჯერ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში, ტოკიოში დამსახურებულად სძლია მადრიდის „რეალს“, შემდეგ კი მოიგო „ტორნეო აპერტურა“ (ერთ-ერთი, ქვეყნის ორი ყოველწლიური ჩემპიონატიდან. ეს იყო „ბოკა ხუნიორსის“ მე-19 გამარჯვება არგენტინის პირველობაზე, თუმცა ამ მხრივ იგი მაინც ჩამოუვარდება მეორე პოპულარულ კლუბ „რივერ პლეიტს“, რომელიც უკვე 29-ჯერ იყო ჩემპიონი).

უნდა ითქვას, რომ „ტორნეო აპერტურას“ დაწყების წინ „ბოკას“ განთქმული მწვრთნელი კარლოს ბიანკი, ცოტა არ იყოს, შეშინებული იყო. მას, უპირველეს ყოვლისა, დაცვის ხაზი უნდა შეეცვალა, რადგან ვალტერ სამუელი „რომაში“ გადავიდა, როდოლფო არუაბარენა კი — „ვილიარეალში“. საქმე ის არის, რომ არც „ბოკა ხუნიორსსა“ და არც სხვა არგენტინულ კლუბებს არა აქვთ სათანადო თანხები, რომ წამყვანი ფეხბურთელების ემიგრაციას ხელი შეუშალონ (ამ მხრივ მათი მდგომარეობა მოწინავე ევროპულ კლუბებთან შედარებით გაცილებით უარესია). ამიტომ ისინი იძულებული არიან შეზღუდონ გუნდების შემადგენლობა, დააწესონ ხელფასის „ჭერი“. ამ მხრივ დამახასიათებელი იყო, რომ როცა „ბოკას“ ლიდერმა ხუან რომან რიკელმემ მოითხოვა პირადი კონდრაქტის პირობების გაუმჯობესება, უარი მიიღო და ისიც, მეტი რალა ჩარა იყო, იძულებული გახდა დამორჩილებოდა: ამ თვალსაზრისით ერთგვარი გამონაკლისი მხოლოდ „რივერ პლეიტია“, რომელიც დათანხმდა ევროპიდან დაბრუნებულ არიელ ორტეგასათვის წელიწადში მილიონნახევარი დოლარი გადაეხადა და ეს მაინც ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე განთქმული ფეხბურთელი „პარმაში“ იღებდა (ორ მილიონ დოლარს წელიწადში). ორტეგა კვლავ „პარმას“ საკუთრებად ითვლება, „რივერ პლეიტში“ იჯარის წესით იმყოფება, თუმცა არგენტინელები აპირებენ 2002 წლის ივლისში მთლიანად გამოისყიდონ იგი.

ერთი სიტყვით, ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტებად „ბოკა ხუნიორსი“ და „რივერ პლეიტი“ ითვლებოდნენ. ჩინებულად ჩაერთო პირველობის მატჩებში ორტეგა. სწორედ მისი თამაშის წყალობით იყო, რომ „რივერ პლეიტი“ მატჩს მატჩზე იგებდა, თუმცა იგივეს აკეთებდა „ბოკაც“ და ეს ორი კლუბი თანაბარი მაჩვენებლებით ლიდერობდა კიდეც ჩემპიონატს. „რივერ პლეიტმა“ იმდენიც კი მოახერხა, რომ სამხრეთ ამერიკის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც „მერკოსურის თასი“ ჰქვია, თუმცა ძირითადად სათადარიგო შემადგენლობით თამაშობდა, მაინც მიაღწია ნახევარფინალამდე.

„რივერ პლეიტის“ უსიამოვნება დაიწყო მაშინ, როცა ორტეგა სერიოზულად დაშავდა. კლუბმა ზედიზედ დაკარგა ქულები და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეოთხე ადგილზე გადავიდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად მას საკუთარ „მონუმენტალეს“ სტადიონზე აუცილებლად უნდა მოეგო „ბოკა ხუნიორსისათვის“, მაგრამ ეს ვერ მოახერხა (1-1). დადგა მომენტი, როცა „ბოკა“ „რივერ პლეიტს“ უკვე 8 ქულით უსწრებდა. თითქოს რაღა რჩებოდა ჩემპიონობამდე, მაგრამ ახლა კარლოს ბიანკის გუნდს დაუდგა ძნელი დრო.. ბოლოს წინა ტურში „ჩაკარიტასთან“ წაგების (1-2) შემდეგ „ბოკას“ აუცილებლად უნდა მოეგო „ესტუდიანტესთან“. ეს მან საკმაოდ ძნელად გააკეთა. ერთადერთი გოლი გაიტანა მეორე ტაიმში შეცვლაზე გამოსულმა მათეო არსემ. ამრიგად, „ბოკა ხუნიორსი“ ჩემპიონი გახდა, „რივერ პლეიტმა“ კი წააგო „ლანუსთან“, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო მაინც გავიდა მეორე ადგილზე, ჩამოიტოვა „ხიმნასია ი ესგრიმა“.



ამ ძირითად მოვლენებთან ერთად არგენტინულ ფეხბურთში სხვა საინტერესო ამბებიც მოხდა. „ალმაგრო“ ფაქტობრივად „სან-ლორენსოს“ ფარმ-კლუბია. იგი ზოგ მატჩს „სან-ლორენსოს“ სტადიონზე ატარებს და მის სათადარიგო მოთამაშეებსაც იყენებს. ასეთი რამ, ვთქვათ, ევროპის ქვეყნების ჩემპიონატებში არ ხდება. „ალმაგროს“ ძალიან უჭირდა უძლიერეს არგენტინულ ლიგაში თამაში, ამიტომ ჩემპიონატის შუაგულში რადიკალური ღონისძიება განახორციელა. გამოცხადდა, რომ კლუბის მთავარი მწვრთნელი იქნება დიეგო მარადონა, რომელსაც დაეხმარებიან 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონები — ხოსე ლუის ბრაუნი და ექტორ ენრიკე. თითქოს რა უნდა ყოფილიყო ამაზე უკეთესი, მაგრამ მარადონა, ჯერ კი დათანხმდა, მაგრამ შემდეგ თავის პირველ ვარჯიშზე საერთოდ არ გამოცხადდა. იგი არც თამაშის დღეს მივიდა „რასინგთან“ (0-2), რის შემდეგ მასთან ყოველგვარი კავშირი შეწყდა. ეს „რასინგი“ კი სწორედ ის კლუბი იყო, რომლის მწვრთნელობასაც იგივე მარადონა რამდენამე ადრე ცდილობდა.

საერთოდ არგენტინაში, რომ იტყვიან, ტყაპატყუპით იცვლებოდნენ მწვრთნელები. საინტერესოა, რომ არავინ მოინდომა საქმის დაჭერა ისეთ ცნობილ სპეციალისტთან, როგორიც კარლოს ბილარდო გახლავთ. მაშინ ბილარდომ გამოაცხადა, რომ საერთოდ სწყვეტს მწვრთნელის საქმიანობას და ამიერიდან მთლიანად გადაერთობა პოლიტიკაში. მსოფლიო ჩემპიონობა ხომ მოუპოვა არგენტინის ნაკრებს — ახლა ბილარდო აპირებს 2003 წელს არგენტინის პრეზიდენტი გახდეს! დიდად პატივმოყვარული განზრახვაა.

„ტორნეო კლაუსურა“ იწყება 9 თებერვალს. წინასწარი ცნობებით, სუსტდება „რივერ პლეიტი“. ცენტრალური მცველი დიეგო პლასენტე ლევერკუზენის „ბაიერში“ გადადის, მცველი ედუარდო ბერისოს კი მოლაპარაკება აქვს ვიგოს „სელტასთან“.

**ბივი თორელი**

## დელ პიერო ერთ თვეს „დაისვენებს“

ტურინის „იუვენტუსს“ უახლოესი თამაშების ჩატარება თავის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელ ალესანდრო დელ პიეროს გარეშე მოუწევს. იგი დაშავდა და დაახლოებით ერთ თვეს „დაისვენებს“.

## მნიშვნელოვანი ცვლილება უკრაინაში

**უკრაინის საფეხბურთო ლიგის კონფერენციამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ამიერიდან ქვეყნის უმაღლესი ლიგის მონაწილე კლუბების რაოდენობა 14-დან 16-მდე გაიზრდება. გადასვლის პრინციპი კი ასეთი იქნება — უმაღლეს ლიგას ერთი კლუბი დასტოვებს, მასში კი პირველი დივიზიონიდან სამი გადავა.**

**უკრაინის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტად არჩეულია დონეცკის „შახტარის“ ვიცე-პრეზიდენტი რავილ საფიულინი.**



## ოლივერ კანი – პირველი წრის გმირი

**ახლა, როცა ბუნდესლიგის კლუბები ისვენებენ, მიმომხილველები ასახელებენ პირველი წრის საუკეთესო მოთამაშეებს. ერთ-ერთი მათგანია მიუნხენის „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანი, რომელსაც ესაუბრება ჟურნალ „კიკერის" კორესპონდენტი**

● ***როგორი იყო თქვენთვის 2000 წელი?***

— ძალზე წარმატებული. ჩვენ გერმანიის ჩემპიონები გავხდით, თასიც მოვიპოვეთ და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდეც მივაღწიეთ. გარდა ამისა, ახლა ჩემპიონთა ლიგის ჩვენს ჯგუფში ლიდერებიც ვართ.

● ***რა ვუყოთ იმ ავად მოსაგონარ ევროპის პირველობას?***

— ბუნებრივია, ეროვნულ ნაკრებში გაცილებით უარესად გვქონდა საქმე. მაგრამ ვინა თქვა, რომ საფეხბურთო ცხოვრებაში ვარსკვლავები იდეალურად არიან განლაგებულნი? მხოლოდ ერთხელ შეიძლება ცხოვრებაში ყველაფერში გაგიღიმოს ბედმა.

● ***თქვენ აპირებთ ეროვნული ნაკრების მეკარის პოსტი 2006 წლამდე შეინარჩუნოთ, როცა მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში ჩატარდება?***

— მე მაშინ ის ასაკი შემისრულდება, როცა შეიძლება მეკარეს საკმაოდ კარგი მზადყოფნა ჰქონდეს. ძოფი 40 წლის ასაკში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მე კი 2006 წელს მხოლოდ 37 წლისა ვიქნები. ისე რომ, ჩემი მონაწილეობა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში სულაც არ იქნება უტოპიური.

● ***თქვენ გაქვთ კი სურვილი ამდენ ხანს ითამაშოთ?***

— თეორიულად შეიძლება კიდევ რამდენჯერმე გერმანიის ჩემპიონობის მოპოვება, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც.

● ***რა მოვლენებს აღნიშნავდით 2000 წლის ფეხბურთში?***

— ფეხბურთი ყოველთვის ყოვლდღიურ ბაზრობას ჰგავდა, ახლა კი უფრო გამკაცრდა, რადგან მნიშვნელობა მხოლოდ ახლა მიღწეულ შედეგებს ენიჭება, სხვა არაფერს. გლობალურ მასშტაბს ახლა არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ყველაფერი კომერციულ მიზნებს დაემორჩილა, აი მაგალითი — „კაიზერსლაუტერნმა" უეფას თასის მატჩი ითამაშა „გლაზგო რეინჯერსთან", 48 საათის შემდეგ კი „ბაიერნს" შეხვდა. სრული აბსურდია, არა? ფეხბურთი მთლიანად გაიყიდა და ახლა მთლიანად ჯიბესქელ საქმოსნებზეა დამოკიდებული. ამის გამოა, რომ მან სული დაკარგა. ისე კი, მე არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი, რადგან კომერციალიზაციის შედეგად დიდი ფული კეთდება, მათ შორის ჩემს მიერაც.

● ***თუკი უშუალოდ გერმანიის ჩემპიონატზე ვილაპარაკებთ, როგორ აფასებთ მის პირველ ნაწილს?***

— მატჩები ორნაირ, განსხვავებულ შთაბეჭდილებას სტოვებს. თითქოს „ბაიერნი" არ დასუსტებულა, მეტოქეებიც არც ისე მომძლავრდნენ. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მოვახერხეთ მთელი შესაძლებლობების გამოვლენა. ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. ეფენბერგისა და იერემისის ტრავმებმა საშუალება არ მოგვცა მინდვრის ცენტრში თამაშის რიგიანი ორგანიზაციისა, თავდამსხმელმა ელბერმა არ გაიარა წინასასეზონო მომზადება და უკვე ჩემპიონატის მსვლელობისას მოუხდა მზადყოფნის გაუმჯობესება. მოულოდნელად ისიც გამოირკვა, რომ ჰაერში კარგად ვერ ვთამაშობთ. ზოგჯერ არც სათამაშო განწყობილება გვქონდა.

● ***რას ელით ჩემპიონატის მეორე წრეში?***

— თავდაჯერებაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ჩვენ პირველ ადგილზე უნდა გამოვიდეთ. ასეთი შემადგენლობით მხოლოდ ჩემპიონობისაკენ უნდა მივისწრაფოდე. ჩემპიონთა ლიგაში კი შევეცდებით რაც შეიძლება წარმატებით ვითამაშოთ. დროა, ბოლოს და ბოლოს, დავძლიოთ ეს ზღუდე.

მოამზადა
ბივი თორელმა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ედგარას იანქაუსკასი ლაპარაკობს ლიტვურ და ესპანურ ფეხბურთზე

***ლიტვის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ედგარას იანკაუსკასი გიორგი დემეტრაძის პარტნიორია ესპანურ „რეალ-სოსიედადში", რომელიც ახლა „პრიმერა დივიზიონში" კატასტროფის პირას, უკანასკნელ მეოცე ადგილზეა. ამავე დროს ისინი პოტენციური მეტოქეებიც არიან — საქართველოსა და ლიტვის ნაკრებები ხომ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.***

მოგვყავს ნაწყვეტები იანკაუსკასის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● ***რა შეიძლება ითქვას ლიტვის ნაკრებზე?***

— ეჰ, არც ვიცი, რა ვთქვა. მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი ძალიან ცუდად დავიწყეთ (0-4 საქართველოს ნაკრებთან, 1-6 უნგრელებთან). კოშმარია. მთავარი მიზეზი თაობათა ცვლაა. გუნდის ყველა წევრი ახალგაზრდაა, 22-23 წლისა.

● ***ხომ არა გაქვთ იმის შეგრძნება, რომ ლიტვაში ფეხბურთისადმი ინტერესი იკლებს?***

— მაქვს ასეთი შეგრძნება. ფეხბურთში ფული უნდა დააბანდო, ეს ფული კი არ არის ქვეყანაში. ძალიან ბევრი ეკონომიკური პრობლემაა, ფეხბურთისათვის არავის სცხელა. ქვეყნის ჩემპიონატი სუსტია, გულშემატკივრები ინტერესს არ იჩენენ. რუსეთშიც ბევრი პრობლემაა, მაგრამ კლუბებს სპონსორები ჰყავთ. რუსეთის ჩემპიონატი ხომ მაინც მაღალ დონეზეა: ჩვენთან კი სულ ორი გუნდია ასე თუ ისე ძლიერი, სწორედ ისინი იბრძვიან ჩემპიონობისათვის: ვილნიუსის „ჟალგირისი" და „კაუნასი". ასეა, ჩემი აზრით.

● ***ბავშვთა საფეხბურთო სკოლები?***

— ცუდად არის მათი საქმე. საკალათბურთო სკოლები მუშაობენ, საფეხბურთო სკოლები კი სულს დაფავენ. არც მინდვრები აქვთ, არც ფორმა. თუკი სადმე სკოლები არსებობს, ღარიბებია, მწვრთნელების ენთუზიაზმს თუ ეყრდნობიან. სევდის მომგვრელი ამბებია. კალათბურთს, რა თქმა უნდა, მეტი ყურადღება ეთმობა. რაც არ უნდა იყოს, №1 სპორტია, ტრადიციები აქვს.

● ***და მაინც ხანდახან კარგი მოთამაშეები დაწინაურდებიან ხოლმე.***

— დიახ, მაგრამ ძლიერ ევროპულ ჩემპიონატებში თითქმის არავინ თამაშობს. გამოდიან დანიაში, ნორვეგიაში, რუსეთში.

● ***როცა ლიტვის ნაკრები იყრის თავს, აუტსაიდერების გრძნობა, განწირულობა გეუფლებათ? თუ სხვანაირად გრძნობთ თავს — ჩვენ ნაკრები ვართ, ქვეყანას წარმოვადგენთ.***

— რა თქმა უნდა, ჩვენ იმიტომ არ ვიყრით თავს, რომ 0-6 წავაგოთ. მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, ისეთი მატჩების შემდეგ, როგორიც ვითამაშეთ საქართველოსა და უნგრეთის ნაკრებებთან, ინტერესი, სურვილი იკარგება. როგორი შეცდომები მოგვივიდა! პირდაპირ ბავშვური. მეტი უნდა ვისწავლოთ, მეტი ვიმუშაოთ...

● ***როგორც ფეხბურთელმა, რომელსაც გამოცდილება აქვს, სახელი ევროპაში, შეგიძლიათ გავლენა იქონიოთ პარტნიორებზე, სათამაშოდ განაწყოთ, გაუძღვეთ?***

— ვცდილობ, ვცდილობ. მაგრამ რაღაც სერიოზულად უნდა შეიცვალოს, რათა ჩიხიდან გამოვიდეთ, გული მტკივა, გული...

● ***თქვენ ესპანეთამდე ბელგიაში თამაშობდით.***

— ესპანეთის ჩემპიონატი ერთი უძლიერესია ევროპაში, რა თქმა უნდა, ინგლისისა და იტალიის პირველობებთან ერთად. ცხოვრების პირობები ესპანეთში უარესია, ვიდრე ბელგიაში, ფეხბურთზე კი გაცილებით უფრო მეტ თანხებს ხარჯავენ.

● ***ამასთან, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ბელგიაში ფეხბურთისადმი ინტერესს არ იჩენენ. ფეხბურთი ხომ ამ ქვეყანაშიც უყვართ.***

— დიახ, მაგრამ ისე არა, როგორც ესპანეთში. აქ ადამიანები ფეხბურთით ცხოვრობენ. ქალაქისათვის თითოეულ თამაშს მნიშვნელობა აქვს. თუკი გუნდი იგებს, მთელ კვირას ადამიანებს კარგი განწყობა აქვთ.

● ***როგორც ადრე ამბობდნენ, სპორტსმენები შრომის მწარმოებლობას ამაღლებენ.***

— დიახ, დიახ. მაგრამ ჩვენ „რეალ-სოსიედადში" ეს არ გამოგვდის. ბელგიურ „ბრიუგეში" პირველი ადგილისათვის ვიბრძოდით, ახლა კი მთელი წელი გადარჩენისათვის ვიბრძვით.

● ***რა უფრო პრესტიჟულია, უფრო საინტერესო, ისეთ კლუბში თამაში, რომელიც საშუალო ძალის ჩემპიონატში პირველი ადგილისათვის იბრძვის, თუ ისეთში, რომელიც ძლიერ ჩემპიონატში უკანასკნელ ადგილზეა?***

— ძნელი სათქმელია. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა გუნდი ჩემპიონობისათვის იბრძვის, ხშირად იგებს. ამასთან, საჭიროა ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა, გამოცდილების შეძენა, ახლის დანახვა. ამ თვალსაზრისით ესპანურ კლუბში გადასვლა ჩემთვის პროგრესია, წინ გადადგმული ნაბიჯი.

● ***ცხოვრება?***

— ნორმალურია. ბელგიასთან შედარებით, შესაძლოა, ნაკლები წესრიგია, მაგრამ საერთოდ, არა უშავს. არა ვჩივი. სან-სებასტიანი, როგორც ამბობენ, ყველაზე ლამაზი ქალაქია ესპანეთში. მე მომწონს. ადამიანებიც ნორმალურები არიან, ისეთები არა, როგორც ესპანეთის სამხრეთში, სადაც პირდაპირ შეშლილი გულშემატკივრებია.

● ***თქვენ „რეალ-სოსიედადში" კლემენტემ მოგიწვიათ?***

— დიახ.

● **საინტერესოა, რომ სწორედ თქვენზე შეაჩერა არჩევანი. „რეალ-სოსიედადი" ხომ „პირველ თავდამსხმელს" ეძებდა.**

— დიახ, კლემენტეს დროს ჩვენ ერთი თავდამსხმელით ვთამაშობდით. როცა მე გადმოვედი, საშინელი სიტუაცია იყო. თითქმის სულ ბოლო ადგილზე მივდიოდით. როგორც იყო, გადავრჩით... იმედი გვქონდა, რომ ამ ჩემპიონატში მდგომარეობა შეიცვლებოდა, მაგრამ ჩვენ ვერაფრით ვახერხებთ სახიფათო ზონის დატოვებას.

● ***რა შეიცვალა კლემენტეს წასვლისა და გუნდის სათავეში პერიკო ალონსოს ჩადგომის შემდეგ?***

— სეზონისათვის კლემენტეს ხელმძღვანელობით ვემზადებოდით. იგი მუშაობდა სეზონის დასაწყისშიც. რამდენიმე კვირაში კი მდგომარეობას ვერ გამოასწორებ. მე არა მჯერა, რომ ახალი მწვრთნელი სეზონის მიმდინარეობის დროს ყველაფერს შეცვლის. საერთოდ, შუა სეზონში მწვრთნელის შეცვლას კარგი არაფერი მოაქვს.

● ***როგორი აზრისა ხართ ესპანეთის ჩემპიონატზე? რომელი გუნდები მოგწონთ, როგორი ფეხბურთი უფრო გიზიდავთ?***

— მე ყოველთვის მომწონდა ისეთი ფეხბურთი, რომლის დროსაც მოთამაშეები იჭერენ ბურთს, იქმნება საინტერესო კომბინაციები. საინტერესოდ თამაშობენ „ბარსელონა" და „დეპორტივო". ისინი ძლიერ გამოირჩევიან მებრძოლი კლუბებისაგან. რომლებთანაც მოგება ასევე ძალზე ძნელია. ასეთებია, ვთქვათ, „ლას-პალმასი", და „მალიორკა". მადრიდის „რეალიც", სხვათა შორის, უფრო მებრძოლი გუნდია, ვიდრე ლაღად მოთამაშე, თუმცა, ძალიან მაღალი დონისა.

● ***რომელი მოთამაშეები მოგწონთ?***

— უპირველეს ყოვლისა, რივალდო და ჯალმინია. ისინი სუპერკლასის მოთამაშეები არიან, მინდვრის ბრწყინვალე ხედვით, მეტად დახვეწილი ტექნიკით. საერთოდ კი, კარგი მოთამაშეები ძალიან ბევრია. თითქმის ყველა გუნდს ჩინებული შემსრულებლები ჰყავს. ბევრია მაღალი კლასის თავდამსხმელი.

● ***ასეთ პირობებში რეალურია საუკეთესო სნაიპერის წოდებისათვის ბრძოლა?***

— ვფიქრობ, არა. ეს არარეალურია. ჩვენ იმდენ საგოლე მომენტს ვერ ვქმნით, რომ ბურთი ყველა მატჩში გავიტანოთ. როგორ შემიძლია ასეთ ვითარებაში სეზონში 20-25 გოლის გატანის იმედი მქონდეს. არა მყავს ისეთი პარტნიორები, როგორიც „დეპორტივოს" თავდამსხმელებს. კართან პირისპირ გაჰყავთ, ზოგჯერ ცარიელ კარშიც კი შეაგორებენ ხოლმე ბურთს. მე არ მინდა იმის თქმა, რომ ყველაფერი მხოლოდ პარტნიორებზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, ყველა კარგ მომენტს ვერ ვიყენებთ. შემეძლო მეტი გოლის გატანა.

● ***და მაინც 6 გოლი ისეთი გუნდის მოთამაშისათვის, რომელიც ცხრილის ბოლოსაა, ცოტა არ არის. როგორია ესპანეთში თავდამსხმელების მეურვეობის საკითხი?***

— „ბრიუგეში" ძალიან მიჭირდა თამაში. ჩვენ ხომ ყველა მატჩში ინიციატივას ვფლობდით, ყველა მეტოქე დაცვას დიდ ყურადღებას უთმობდა. თავდამსხმელს ყოველთვის პერსონალური დარაჯი ჰყავდა. ესპანეთი ასე არ არის, უფრო იოლია. მეორე მხრივ, აქ მცველებს უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, სისწრაფეც უფრო მაღალია. თუმცა ყველა გუნდი ხაზზე თამაშობს, ვერ ვიტყვით, რომ თავდამსხმელი უფრო ხელსაყრელ სიტუაციაშია.

● ***არიან მცველები, რომელთა წინაალმდეგაც განსაკუთრებით უსიამოვნოა თამაში?***

— ბევრი უხეში მცველია. არგენტინელები, პარაგვაელები... ძალლებივით იკბინებიან. განსაკუთრებით ძნელია საშუალო ძალის გუნდებთან ბრძოლა, რომლებიც მხოლოდ ერთ რამეს ცდილობენ, თამაშის საშუალება არ მოგცენ.

● ***ახლა გუნდი ძალიან მძიმე კრიზისშია...***

— დიახ, მე მეჩვენება, რომ ახლა ჩვენ უარესადაც კი ვთამაშობთ, ვიდრე სეზონის დასაწყისის მატჩებში, როცა დიდი ანგარიშით ვიგებდით.

● ***რაშია მაინც საქმე? განწყობაში, მონდომებაში?***

— მთელი გუნდი სტრესის მდგომარეობაშია. ძნელია აუტსაიდერის ტვირთის ტარება.

● ***შეიძლება ითქვას, რომ „რეალ სოსიედადს" თამაში შეუძლია? რომ უკანასკნელი, მეტად უფერულად ჩატარებული მატჩები მისთვის დამახასიათებელი არ არის? თუ მდგომარეობა სავსებით უიმედოა?***

— სამწუხაროდ, თუკი რაიმე თამაში გვაქვს, იგი ძალზე მარტივია: გასვლა ფრთიდან და მაღალი ჩაწოდება. აქ ცენტრიდან ვერ გაარღვევ.

● ***იმის გამო, რომ მცველები ერთ ხაზზე არიან განლაგებული, ხომ არ სჯობს სწორედ ცენტრიდან თამაში, კედლის გათამაშებით, მცველების ზურგს უკან გადაცემით...***

— ეს ხერხი გაჭრიდა, მცველები რომ უჭკუონი იყვნენ. მაგრამ ისინი ხომ სულელები არ არიან.

● ***ასეთი პრობლემაც ხომ არის — მოწვეულ ფეხბურთელებს ადგილობრივებისაგან განასხვავებენ.***

— უცხოელებისაგან ყოველთვის მეტს მოითხოვენ. თუკი შენ ჩამოსული ხარ და ადგილობრივზე კარგად არა, მაგრამ არც უარესად თამაშობ, ყოველთვის იტყვიან, რომ უარესი ხარ. შენ კი ცდილობ ეს არ შეიმჩნიო.

● ***როგორია ხელმძღვანელობის დამოკიდებულება მოთამაშეებთან, მათზე ზრუნავენ თუ არა?***

— დამოკიდებულება ნორმალურია. „რეალ-სოსიედადს" ესპანეთში ძალიან პატიოსანი კლუბის რეპუტაცია აქვს და აქ არავინ მოუტყუებიათ.

● ***მომავლისათვის რა გეგმები გაქვს?***

— კონტრაქტი კიდევ ორწელიწადნახევარს გაგრძელდება. ახლა მთავარი საფიქრალი გუნდის მდგომარეობაა. მეორე დივიზიონში ხომ არავის სურს თამაში. რაღა გვრჩება: იმედი არ დავკარგოთ და ვითამაშოთ.

● ***გუნდი ბრძოლას აპირებს?***

— რა თქმა უნდა. არავინ არ აპირებს ხელების ჩამოშვებას და ლიგიდან გავარდნას. მეორე ლიგიდან პირველში დაბრუნება ძალზე ძნელია. ავიღოთ მადრიდის „ატლეტიკო". მათი ბიუჯეტი ჩვენსას ორნახევარჯერ აღემატება. სალვა იყიდეს — ესპანეთის წინა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი. მაგრამ არავინ იცის, წელს უმაღლეს ლიგაში დაბრუნდებიან თუ არა...

● ***თუკი ადგილს შეინარჩუნებთ, ამავე გუნდში დარჩებით თუ იმის იმედი გაქვს, რომ სხვაგან მიგიწვევენ?***

— თუ კარგად ვითამაშებ, ვინ იცის, შეიძლება მიმიწვიონ კიდეც.

● ***რომელ გუნდში ისურვებ თამაშს. სერიოზულად, ისე არ ჟღერდეს, მთვარეზე გაფრენასავით.***

— სერიოზულად თუ ვიტყვი, „რეალში" გამიჭირდებოდა. შესაძლოა, „ვალენსიაში" მეთამაშა. იქ მე უფრო გამიადვილდებოდა, ვიდრე „რეალ-სოსიედადში". როცა გყავს ისეთი პარტნიორები, როგორც მენდიეტა და კილი გონსალესია, რომლებიც თამაშში 7, ანდა, 8 იდეალურ გადაცემას გაწვდიან, თავდამსხმელისათვის ხომ გოლის გატანა უფრო იოლია.

მოამზადა ბივი ბამრეკელმა

## 10 მონაწილე – ჩემპიონობის ორი პრეტენდენტი

ჩვენი ყურადღება ლიტვის ფეხბურთისადმი ნათელი და გასაგებია — ამ ქვეყნის ნაკრები ხომ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში ქართველების მეტოქეა.

ლიტვის 2000 წლის ჩემპიონატში 10 კლუბი მონაწილეობდა, შეჯიბრება კი 4 წრედ მიმდინარეობდა. კომენტატორების აზრით, შეჯიბრებამ მეტად შეუპოვარ და საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა საბოლოო ანგარიშით პირველი ადგილისათვის მხოლოდ ორმა კლუბმა გამოაცხადა პრეტენზია: ვილნიუსის „ჟალგირისმა" და „კაუნასმა". 1999 წლის ჩემპიონი „კაუნასი" თითქმის მთელი შეჯიბრების მანძილზე მეორე ადგილზე მიდიოდა, ცოტათი ჩამორჩებოდა ლიდერს. „ჟალგირისმა" ფინიშზე უკლო, „კაუნასმა" კი ორი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა, და, ამრიგად, ზედიზედ მეორედ მოიპოვა ლიტვის ჩემპიონობა.

„კაუნასმა" 36 თამაშიდან 26 მოიგო, 8 ფრედ დაასრულა და 2 წააგო, 86 ქულა მოაგროვა, ბურთების სხვაობა 115-24. „ჟალგირისმა" 25 მატჩი მოიგო, 8 ფრედ დაამთავრა და 3 წააგო, 83 ქულა მოაგროვა, ბურთები — 108-28.

დანარჩენმა კლუბებმა მხოლოდ მესამე ადგილზე განაცხადეს პრეტენზია. ეს „ატლანტასმა" მოახერხა, 67 ქულით ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, გაასწრო „ეკრანასსა" (62 ქულა) და „კარედას" (60). დანარჩენი გუნდები, რა თქმა უნდა, უარესად თამაშობდნენ, თუმცა მეორე ლიგაში ჩამოქვეითება არ ემუქრებოდათ. ამაში არავინ „შეეცილა" „ბანგას", რომელმაც 16 ქულით უკანასკნელი ადგილი დაიკავა.

სნაიპერთა დავაში პირველი იყო ველიჩკო („კაუნასი") — 26 ბურთი, ოსიპოვიჩმა („ჟალგირისი") 21 გოლი გაიტანა, ქშანავიჩუსმა („კაუნასი") კი 20 გოლი.

# სპორტული პლანეტა

**ჩოგბურთი**

## მარტინესიც დამარცხდა

ავსტრალიის ქალაქ გოლდ კოსტში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი — „Australian Women'S Hardcourt Championship", რომლის საპრიზო ფონდი 170 ათას დოლარია. გუშინ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტებიც, სადაც ჟიუსტინ ენინი მეგან შონესის შეხვდება, ხოლო პეტი შნიდერი — სილვია ფარინა ელიას.



**მეოთხედ-ფინალი**

მეგან შონესი (აშშ, 6) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 1) 6:2, 6:1; პეტი შნიდერი (შვეიცარია, 2) — ანდრეა გლასი (გერმანია) 6:1, 6:3; სილვია ფარინა ელია (იტალია) — სილვია ტალაია (ხორვატია, 3) 6:3,6:2

ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 8) — ჯოანეთ კრიუგერი (სამხ. აფრიკის რესპ.) 6:1, 6:1.

*ფოტოზე: ტურნირის ერთ-ერთი ნახევარფინალისტი იტალიელი სილვია ფარინა ელია.*

## ნბა: „ფილადელფია" წინ მიიწევს

ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ პირველობაზე დიდ ინტერესს იწვევს „ფილადელფიისა" და „საკრამენტოს" ჭიდილი ერთპიროვნული ლიდერობისათვის. გუშინ ღამით, მას შემდეგ, რაც „ატლანტასთან" მოიგო, „ფილადელფია" წინ გაიჭრა. ამჯერად გუნდის ლიდერი ალან აივერსონი არ იყო აქტიური, სამაგიეროდ, „აიწყვიტეს" სხვა კალათბურთელებმა — ტეო რეტლიფმა, აარონ მაკიმ. დღეს ღამით „ფილადელფია" „სიეტლს" მიიღებს.

დასავლეთის კონფერენციაშიც ორი გამოკვეთილი ლიდერია — „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი". წუხანდელი წარმატების შემდეგ ორივე გუნდს 23-23 მოგება და 10-10 წაგება დაუგროვდათ.

**ფილადელფია — ატლანტა 98:80**
აივერსონი — 21, რეტლიფი — 17, ლინჩი — 12, მაკი — 11; ტერი — 17, მაკლეოდი — 10.

**პორტლენდი — ინდიანა 102:86**
უელსი — 27, პიპენი — 24, უოლესი — 11, საბონისი — 10; როუზი — 16, მილერი — 13,

**ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — იუტა 82:71**
ბრაიანტი — 31, ონილი — 24; მარშალი — 16, რასელი — 15, მელოუნი — 14, სტოქტონი — 11.

**ბოსტონი — ნიუ-იორკი 91:100**
უოლკერი — 30, სტითი, პირსი — 16-16, ანდერსონი — 11; ჰიუსტონი — 25, ჩაილდსი — 17, ჯონსონი — 16, სპრიუელი — 12, ტომასი — 10.

**დალასი — დეტროიტი 104:107**
ფინლი — 35, ნოვიცკი — 25, ნეში — 22; სტეკჰაუზი — 33, სმიტი — 28, ეტკინსი — 11.

**მილუოკი — კლივლენდი 88:83**
ალენი — 25, კასელი — 16, ტომასი — 10; გეტლინგი, მიმი — 18-18, მიურეი — 17, მილერი — 11.

**ფინიკსი — ლოს-ანჯელეს კლიპერსი 90:85**
რობინსონი — 21, კიდი — 12, მერიონი — 11, დელკი, როჯერსი, გუგლიოტა — 10-10; ოდომი — 24, მაკინისი — 17, რუქსი — 12.

**ვანკუვერი — შარლოტი 99:89**
დიკერსონი — 22, ბიბი — 21, აბდურ-რახიმი — 19, ჯონსი — 18, ჰარინგტონი — 15; კოულმენი — 18, მეშბურნი — 17, უესლი — 13.

**გოლდენ სტეიტი — დენვერი 100:111**
ჯემისონი — 26, ჯექსონი — 22, ჰიუზი — 17, ბლეილოკი — 13, სურა — 10; მაკდაესი — 25, ლენარდი — 23, ლაფრენცი — 13.



*ფოტოზე: ლეიკერსი — იუტა. მასპინძელთა შორის ბრაიანტი (მარცხნივ) ბრწყინავდა. ამჯერად მას ხელი ვერ შეუშალა მცველმა ჯონ სტოქტონმა.*

**რალი**

## შლესერმა მოიგო ეტაპი და ლიდერობა დაიბრუნა



ტრადიციული რალის „პარიზი — დაკარის" მეოთხე სპეცმონაკვეთი მოიგო ფრანგმა ავტომრბოლმა ჟან-ლუი შლესერმა ავტომანქანა „შლესერ მეგანით". 139-კილომეტრიანი ეტაპის წარმატებული გავლით შლესერმა დაიბრუნა ლიდერობა საერთო ჩათვლაშიც. მოტოციკლისტთა შეჯიბრებაშიც ფრანგი მრბოლი — რიშარ საინქტი ლიდერობს.

**ბიატლონი**

## ვინ დაეწევა პუარეს?

ფრანგმა ბიატლონისტმა რაფაელ პუარემ კიდევ უფრო განიმტკიცა სალიდერო პოზიციები მსოფლიო თასის გათამაშებაში. გუშინ, მან სპრინტერულ რბოლაში გაიმარჯვა, რომელიც გერმანიის ქალაქ ობერჰოფთან გაიმართა.

## ბოდიროგა — იუგოსლავიის რჩეული კალათბურთელია



**საბერძნეთის „პანათინაიკოსის" ფორვარდი დეიან ბოდიროგა დასახელებულია იუგოსლავიის გასული წლის საუკეთესო კალათბურთელად.**

**ფეხბურთი**

## „ოქროს გოლის" წესს მალე გააუქმებენ?

„გეთანხმებით, რომ „ოქროს გოლის" წესი იდეალური არაა, მაგრამ მის ალტერნატივას ჯერჯერობით ვერ ვხედავ. პენალტების სერია? არა მგონია... მაშ რა?" — წარმოთქვა ოთხშაბათს კეიტ კუპერმა, რომელიც ფიფაში საზოგადოებასთან ურთიერთობას კურირებს.

ყველაზე ძალიან წესებში არსებულ დღევანდელ მდგომარეობას აკრიტიკებენ უეფას ტექნიკური დამკვირვებლები — ჟერარ ულიე („ლივერპულის" მწვრთნელი), როი ჰოჯსონი („ინტერისა" და „ბლექბერნის" ექს-მწვრთნელი), ენდი როქსბურგი (შოტლანდიის ნაკრების ექს-მწვრთნელი). მათი აზრი ერთმნიშვნელოვანია — „ოქროს გოლის" წესი უკვე ევრო-2004-ზე გაუქმდეს.

## შედეგიანობა მართლაც გასაოცარია

**ანდრეი შევჩენკოს „მილანში" 43 მატჩი აქვს ჩატარებული და 34 გატანილი გოლი. ეს მართლაც გასაოცარი შედეგიანობაა — 0, 791 გოლი ერთ მატჩში. ჰუნარ ნორდალი „მილანში" 1948-56 წლებში თამაშობდა და 291 მატჩში 225 გოლი გაიტანა — 0, 773 გოლი საშუალოდ მატჩში. „სერია A-ს" ახლანდელი მოთამაშეებიდან შევჩენკოს ყველაზე უფრო უახლოვდება ბრაზილიელი რონალდო „ინტერიდან" (0,724 ბერთი მატჩში). შევჩენკომ ჩამოიტოვა ისეთი სნაიპერებიც, როგორნიც არიან ბატისტუტა, ბირჰოფი და სინიორი. — ძალიან მსიამოვნებს ასეთი შედარება, მაგრამ ჩემი ოცნება სულ სხვაა — ეს არის „მილანის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება.**

**ციგურაობა**

**მოციგურავე პეგი ფლემინგო ამერიკულმა სპორტულმა გამოცემებმა დაასახელეს XX საუკუნის ყველაზე მომხიბვლელ სპორტსმენად.**



## ქართულ კლუბებსაც არ აწყენდა ასეთი პრეზიდენტი!



*ამხედრებული კირსან ილიუმჟინოვი*

როცა ამ კაცის ტიტულებს ჩამოთვლი, ძალაუნებურად, უძრაობის ხანა და მისი ლიდერი — ლეონიდ ბრეჟნევი გახსენდება. 2000 წლის 29 დეკემბრამდე კირსან ილიუმჟინოვი იყო ყალმუხეთისა და ფიდეს პრეზიდენტი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრი. და აი, ამ დღეებში მან კიდევ ერთი თანამდებობა შეითავსა — გახდა საფეხბურთო კლუბ „ურალანის" პრეზიდენტი. „ყველაფერს ვიღონებ, რათა „ურალანი" კვლავ დავაბრუნო უმაღლეს ლიგაში" — ამბობს ილიუმჟინოვი და სპეციალური განკარგულებით ავალებს ყალმუხეთის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელ მუშაკებს ყველა ღონე იხმარონ გუნდის დასახმარებლად. კლუბის ახალდანიშნულმა პრეზიდენტმა, პირველმა, უჩვენა თავის ქვეშევრდომთ დახმარების მაგალითი — მან „ურალანის" ანგარიშზე მილიონი დოლარი შეიტანა და, როგორც განაცხადა, ყოველთვიურად, ასეთივე თანხით დაეხმარება გუნდს.

მზრუნველობაც ამას ჰქვია!

## მარკუს ბაბელი: ინგლისური ფეხბურთი ჭუჭყიანია და მეტისმეტად მკაცრი!

**გერმანიის ნაკრების მცველი მარკუს ბაბელი, რომელიც ზაფხულში მიუნხენის „ბაიერნიდან" „ლივერპულში" გადავიდა, თვლის, რომ მძიმე შეცდომა მოუვიდა.**

**ერთ-ერთ ინტერვიუში ბაბელმა განაცხადა, რომ ინგლისური ფეხბურთი ჭუჭყიანია და მეტისმეტად მკაცრი. „მატჩები უფრო გლადიატორთა ბრძოლას ჰგავს, ვიდრე სპორტულ შეჯიბრებას. მე იმედი გამიცრუვდა, დამღალა ასეთმა ფეხბურთმა", — ამბობს მარკუს ბაბელი.**

## „ასტონ ვილას" ძვირფასი შენაძენი

**ინგლისის პრემიერ-ლიგის ცნობილმა კლუბმა, ბირმინგემის „ასტონ ვილამ" 14 მილიონი დოლარი გადაიხადა არგენტინულ „რივერ პლეიტისა" და კოლუმბიის ნაკრების თავდამსხმელ ხუან კაბლო ანხელში. ეს გახლავთ ბირმინგემელთა ყველაზე ძვირი შენაძენი ამ კლუბის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე.**

**როგორც „ასტონ ვილას" ცნობილმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ განაცხადა, „კლუბის ხელმძღვანელობა სამხრეთამერიკელზე დიდ იმედს ამყარებს. ანხელს შეუძლია მსოფლიო დონის ვარსკვლავი გახდეს და, რა თქმა უნდა, ჩვენი კლუბის პრობლემებიც გადაჭრას წინა ხაზზე".**

**„ასტონ ვილამ" აქამდე ყველაზე მეტი თანხა — 11 მლნ. $ — გადაუხადა „ლივერპულს" სტენ კოლიმორში.**

## შირერი ყავარჯნებით ივლის...

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ალან შირერი დიდი ხანია, რაც უჩიოდა მუხლის ტკივილს, ამიტომ, როგორც იყო გაბედა და ოპერაცია გაიკეთა. იგი სამი თვის შემდეგ თუ დაუბრუნდება მინდორს, ახლა კი, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ყავარჯნებით უნდა იაროს.

***საბერძნეთის საფეხბურთო ჩემპიონატი.*** პაოკი — ეთნიკოსი 2-1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისტორია**

**მე-20 საუკუნის დასასრულს ცხოვრებიდან წავიდნენ გამოჩენილი ჩოგბურთელები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ჩოგბურთის განვითარებაში. ესენი არიან — ბილ ტილდენი, ანრი კოშე, რენე ლაკოსტი, ჟაკ ბოროტრა, ჯეკ კროუფორდი, გოდფრიდ ფონ კრამი, ფრედ პერი, ელსვორტ ვაინსი, რიკარდო (პანჩო) გონზალესი, ლიუ ჰოარდი.**

**მერე კი გარდაიცვალა საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ჩოგბურთელი დონ ბაჯი (1915-2000). ჩოგბურთელთა შორის ის იყო პირველი, რომელმაც შეძლო ეგრეთ წოდებული „Grand Slam“-ის მოპოვება — გაიმარჯვა სეზონის ოთხ მთავარ ტურნირში, ავსტრალიის, საფრანგეთის, ამერიკის და დიდი ბრიტანეთის (უიმბლდონი) პირველობებზე. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მისი წარმატება ორჯერ — 1962 და 1969 წლებში გაიმეორა განთქმულმა ავსტრალიელმა როდ ლეივერმა.**



დონ ბაჯი

# მისტერ "GRAND SLAM" დონ ბაჯი

***დონ ბაჯის ძირითადი შედეგები:*** უიმბლდონის და აშშ-ის ჩემპიონი 1937-1938 წლებში, ავსტრალიის და საფრანგეთის 1938 წლის ჩემპიონი. 1937-1938 წლებში უიმბლდონის ჩემპიონი წყვილებში, 1936, 1938 წლებში აშშ-ის ჩემპიონი წყვილთა თანრიგში, 1936, 1938 წლებში უიმბლდონის ჩემპიონი შერეულ წყვილებში და 1937-1938 წლებში აშშ-ის ჩემპიონი შერეულ წყვილებში.

1937-1938 წლებში „დევისის თასის“ მფლობელია. „დევისის თასის“ გათამაშებაში დონ ბაჯმა ჩაატარა 21 შეხვედრა და მოიგო 19, წყვილებში 8 და მოიგო — 6.

1940, 1942 წლებში მსოფლიო ჩემპიონია პროფესიონალთა შორის, 1940, 1941, 1942, 1947, 1949 და 1953 წლებში მსოფლიო ჩემპიონია წყვილებში პროფესიონალთა შორის.

სახელწოდება „Grand Slam“ კარგად არის ცნობილი ჩოგბურთის მოყვარულთათვის. ის, ვინც შეძლებს წლის განმავლობაში მოიპოვოს გამარჯვება ჩოგბურთის ოთხ უდიდეს ტურნირში, ხდება „Grand Slem“-ის მფლობელი. მაგრამ მთელი არსი იმაშია, რომ პრიზი „Grand Slem“ უბრალოდ, არ არსებობს. სულ უმნიშვნელო შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები შინ ბრუნდებიან სამახსოვრო თასებით და სხვა პრიზებით. „Grand Slam“-ი მხოლოდ სიმბოლოა. კი მაგრამ, საიდან წარმოიშვა სახელწოდება „Grand Slam“-ი?

1933 წელს თბილ, ქარიან სექტემბრის დღეს, ნიუ-იორკის ცენტრალურ კორტზე „ფორესტ-ხილსზე“ ავსტრალიელი ჯეკ კროუფორდი (1908-1991) გამოვიდა სათამაშოდ ინგლისელ ფრედ პერისთან (1909-1995) აშშ-ის ღია ჩემპიონატის ფინალში. მატჩის წინ, გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმს“-ის მიმომხილველმა ჯონ კირენმა დაწერა — თუ კროუფორდი მოიგებს, ეს იქნება რაღაც „Grand Slam“-ის მსგავსი მოგება.

მანამდე, იმავე წელს, კროუფორდმა მოიგო უიმბლდონი, საფრანგეთის და ავსტრალიის ჩემპიონატები. ამრიგად, ის ძალიან ახლოს იყო გამხდარიყო ოთხი ქვეყნის ჩემპიონი. პერისთან შეხვედრაში კროუფორდს მიჰყავდა ანგარიში 2/1 სეტებში და ახლოს იყო იმასთან, რომ გაეხსნა სუპერჩემპიონების სია. მაგრამ შეხვედრის ბოლოს კროუფორდი მოეშვა და ორი უკანასკნელი სეტი წააგო ანგარიშით 0/6, 1/6. ჯონ კირენის „Grand Slam“-ზე გაკვრით ნათქვამი დავიწყებას მიეცა. მხოლოდ 1938 წელს, როდესაც დონ ბაჯი უახლოვდებოდა თავის სანუკვარ ოცნებას, ამ ტერმინის რეანიმირება მოახდინა განთქმულმა ამერიკელმა სპორტულმა ჟურნალისტმა ალისონ დანციგმა. მან ჯონ კირენისაგან დამოუკიდებლად გამოიყენა პოპულარული ბანქოს თამაშის ბრიჯის ტერმინი „Grand Slam“-ი.

სიტყვასიტყვით „Grand Slam“-ი ნიშნავს „ძლიერ დარტყმას“, რომლითაც იღბლიანი კარტის მოთამაშე ერთი დარტყმით ნოკაუტში აგდებს თავის პარტნიორებს. მაგრამ ეს იშვიათად ხდება...

ტერმინმა „Grand Slam“ ისევ გაიელვა პრესაში 1935 წელს, როდესაც ფრედ პერიმ გაიმარჯვა საფრანგეთის პირველობაში. ერთი წლით ადრე მან მოიგო ავსტრალიის, ინგლისის და აშშ-ის ჩემპიონატები და გახდა მსოფლიოში პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც დაიპყრო მსოფლიო ჩოგბურთის ეს ძნელად ასაღები მწვერვალები. მაგრამ პერიმ აჩვენა ეს ფენომენური შედეგი არა ერთი სეზონის განმავლობაში, არამედ ორ სეზონში და ამიტომაც, ის არ ითვლება „Grand Slam“-ის ლაურეატად. როგორც ზუსტად შენიშნა ამერიკელმა ჟურნალისტმა ფრენკ დაფორდმა — „Grand Slam“-ი ეს არის ღვინო, რომელიც მზადდება ყურძნის ერთი წლის მოსავლისგან. სახელები, რომლებიც შედის სიმბოლურ „Grand Slam“-ის კლუბში, ცოტაა და პირველი, რომელმაც ეს მწვერვალი დაიპყრო 1938 წელს, იყო გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი დონ ბაჯი.

ბაჯი, ჯეიმს დონალდი (BUDGE JAMES DONALD) დაიბადა 1915 წელს, 15 ივნისს ოკლენდში, კალიფორნიის შტატში. მამამისი წარმოშობით შოტლანდიელი, „გლაზგო რეინჯერსის“ ყოფილი ფეხბურთელი იყო და შვილს ხელს უწყობდა სპორტულ მოღვაწეობაში. დიდი გავლენა მოახდინა დონის ჩოგბურთის არჩევაზე უფროსმა ძმამ ლლოიდმა, რომელსაც ფანატიკურად უყვარდა ჩოგბურთი. 11-დან 15 წლამდე დონი ჩოგბურთს თამაშობდა შემთხვევიდან შემთხვევამდე, მაგრამ ერთხელ ძმამ დაითანხმა დონი, რომ მას ეთამაშა კალიფორნიის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის. და დონმა ყველასათვის მოულოდნელად გაიმარჯვა. იგრძნო რა წარმატების გემო, ის მთელი აზარტით ჩაერთო თამაშში და მალე მიაღწია დიდ პროგრესს. უკვე 30-იანი წლების შუაში დონი ხდება ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. აშშ-ის მამაკაცთა ეროვნულ შეჯიბრებებზე ეს მაღალი (1მ. 85სმ.), წითური სპორტსმენი გამოჩნდა 1935 წელს. აშშ-ის ჩემპიონატზე წყვილთა თანრიგში ჯინ მაკოსთან ერთად, დონი გადის ფინალში და მიღწეული შედეგების მიხედვით ის ჩარიცხეს ნაციონალურ გუნდში, რომელიც ემზადებოდა „დევისის თასის“ ტურნირში მონაწილეობისათვის. მომდევნო წელს დონ ბაჯი იგებს აშშ-ის პირველობას წყვილთა თანრიგში, ხოლო ერთეულებში ის გადის ფინალში და მხოლოდ მე-5 გადამწყვეტ სეტში აგებს განთქმულ ინგლისელთან ფრედ პერისთან. 1937 წელს დონი რისხვად ევლინება მეტოქეებს. ის იგებს უიმბლდონის ტურნირს, აშშ-ის ჩემპიონატს და ეხმარება ნაციონალურ ნაკრებს „დევისის თასის“ მოპოვებაში. ათწლიანი შესვენების შემდეგ ამერიკელებმა უიმბლდონის სტადიონზე მოუგეს ფინალში ინგლისის ნაკრებს.

„მე მინდოდა გამეკეთებინა რაღაც, რაც ჩემამდე არავის გაუკეთებია, გადავათვალიერე სტატისტიკური მონაცემები და აღმოვაჩინე, რომ ჯერჯერობით ვერავინ შეძლო ოთხივე დიდი ტურნირის მოგება ერთ სეზონში. ავსტრალიელი ჯეკ კროუფორდი იმყოფებოდა სულ ერთი სეტის მანძილზე მიზნისგან 1933 წელს. მაგრამ ფრედ პერიმ შეძლო მოგება აშშ-ის ჩემპიონატის ფინალში“ — იგონებდა დონ ბაჯი.

და აი, 1938 წელს დონმა გადაწყვიტა გაეკეთებინა ის, რაც აქამდე ვერავინ შეძლო — ერთ სეზონში მოეგო ოთხივე მთავარი ტურნირი. რითი დაიწყო ეს ისტორიული აღმასვლა? 23-დღიანი მოგზაურობით სან-ფრანცისკოდან — ავსტრალიაში. ამ მოგზაურობაში მას თან ახლდა მეგობარი და პარტნიორი წყვილთა თანრიგში ჯინ მაკო. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც გაუზიარა თავისი ოცნება დონ ბაჯმა. ადელაიდაში, სადაც ავსტრალიის ჩემპიონატს ატარებდნენ, საშინლად ცხელოდა, მაგრამ დონმა გადალახა ეს დაბრკოლება. ფინალში მან ავსტრალიელ ჯონ ბრომვიჩს მოუგო 6/4, 6/2, 6/1.

საფრანგეთის ჩემპიონატი იყო რიგითი შოუ განთქმული ჩოგბურთელისთვის. იგი ფინალში ანადგურებს ჩეხ როდერიხ მენზელს 6/3, 6/2, 6/4 და მცირე შესვენების შემდეგ იწყებს მზადებას უიმბლდონის ტურნირისთვის.

უიმბლდონის ტურნირი რიგით ტრიუმფად იქცა დონ ბაჯისათვის. მან, როგორც საგორავმა, გადაუარა მეტოქეებს და არ წააგო არც ერთი სეტი. ფინალში ბაჯი უგებს ჰენრი ოსტინს ანგარიშით 6/4, 6/0, 6/3. შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში და ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ხდება „დევისის თასის“ მფლობელი. ფინალი ამერიკელებმა მოუგეს ავსტრალიის გუნდს.

და ბოლოს დადგა „Grand Slam“-ის დასკვნითი ეტაპი. აშშ-ს ჩემპიონატზე ბაჯი გავიდა ფინალში, თავის მეგობარ მაკოს წინააღმდეგ. მაგრამ ამოვარდნილმა ქარიშხალმა გადადო მატჩი ერთი კვირით. აქ მინდა მოვიყვანო ერთი დეტალი, რომელიც ხაზს უსვამს ამ ორი მეგობრის ურთიერთობას. ისინი ახალგაზრდები იყვნენ და ფინალის მოლოდინში არ უნდოდათ ეცხოვრათ ასკეტურად, აი, ამიტომ, მეგობრებმა გადაწყვიტეს ყოველდღიურად შეეთანხმებინათ დღის განრიგი და მკაცრად დაეცვათ პირობა. მაგრამ, როცა დადგა ფინალის დღე, დონს ვერაფერი აკავებდა, ჯინ მაკოსთან მეგობრობაც კი. ბაჯმა გაიმარჯვა ანგარიშით 6/3, 6/8, 6/1.

ასე გახდა „Grand Slam“-ის მფლობელი. ტიტულის მოპოვებისას ბაჯმა ჩაატარა 24 თამაში, მოიგო 72 სეტი და წააგო მხოლოდ 4.

1937-1938 წლებში დონ ბაჯმა ჩაატარა 94 მატჩი, აქედან 92 მოიგო და გაიმარჯვა 14 ტურნირში. მოიხვეჭა ყველა ტიტული და პრიზი, რომელიც არსებობდა სამოყვარულო ჩოგბურთში. ის 23 წლის ასაკში პროფესიონალი ჩოგბურთელი ხდება. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 1968 წლამდე მოყვარულთა და პროფესიონალ ჩოგბურთელთა შეჯიბრებები ცალ-ცალკე ტარდებოდა. და როგორც ერთხელ აღნიშნა დონ ბაჯმა, დიდება და პოპულარობა მოყვარულთა მხარეზე იყო, ფულს კი ინაწილებდნენ პროფესიონალები.

დონ ბაჯის, როგორც პროფესიონალი ჩოგბურთელის დებიუტი შედგა 1939 წლის იანვარში ნიუ-იორკში, ყველასათვის ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენში“, სადაც მან 16725 მაყურებლის წინაშე ხის საფარზე დაამარცხა უიმბლდონის 1932 წლის ჩემპიონი ამერიკელი ელსვორტ ვაინსი (1911-1994). შემდეგ ამას მოჰყვა მატჩების მთელი სერია, სადაც ბაჯი უგებს ვაინსს ანგარიშით 18/3, პერის 18/11 და ლეგენდარულ ბილ ტილდენს (1883-1953) ანგარიშით 51/7. აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებში ჩარიცხვის წინ დონი ორჯერ ხდება მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის. 1940 წელს ის ფინალში უგებს ფრედ პერის ანგარიშით 6/3, 5/7, 6/4, 6/3 და 1942 წელს ამარცხებს აშშ-ის 1939 და 1941 წლების ჩემპიონს ბობი რიგს (1919-1995) ანგარიშით 6/2, 6/2, 6/2.



პანჩო გონზალესი (მარცხნივ) და დონ ბაჯი

მეორე მსოფლიო ომში დონ ბაჯმა მიიღო მძიმე ჭრილობა მარჯვენა მხარში და მხოლოდ 1946 წელს შეძლო დაბრუნებოდა კორტს. ის კვლავ გამოდიოდა პროფესიულ ჩოგბურთში 1954 წლამდე, მაგრამ ყოფილი ფორმა ვეღარ დაიბრუნა. ოთხჯერ დონი გავიდა მსოფლიო პირველობის ფინალში პროფესიონალთა შორის. 1946, 1947 და 1949 წელს ბაჯი აგებს რიგსთან, 1953 წელს კი ბრწყინვალე რიკარდო (პანჩო) გონზალესთან (1928-1995). ამ ტიტულს გონზალესი ინარჩუნებს 1962 წლამდე. სამაგიეროდ, ბაჯი სამჯერ ხდება ჩემპიონი წყვილთა თანრიგში.

აი როგორ ახასიათებს დონ ბაჯს ჩოგბურთის ენციკლოპედიაში ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი ბად კოლინზი:

„მაღალი, კარგი აღნაგობის, მოქნილი და მოძრავი, ბაჯი ქადაგებდა ძლიერ თამაშს უკანა ხაზზე, გამოირჩეოდა დამაჯერებელი თამაშით ბადესთან. ის ფლობდა ძლიერი, ზუსტად მიმართული მიწოდებით და ბრწყინვალე თავზევითი დარტყმით. მისი დარტყმა მარცხნიდან ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ ჩოგბურთის ისტორიაში. მის ტექნიკურ არსენალში არ მოიძებნებოდა სუსტი ადგილი და მეტოქეები თავს იტეხდნენ, რათა შეედგინათ მასთან საბრძოლო ტექნიკური გეგმა. და კიდევ ერთი პატარა დეტალი, რომელიც ბევრზე მეტყველებს — ბაჯი თამაშობდა ყველაზე მძიმე ჩოგნით (თავისი კლასის ჩოგბურთელთა შორის). ჩოგანი იწონიდა 16 უნციას (დაახლოებით 450 გრამი)“.

თავისი კარიერის მანძილზე დონ ბაჯმა ჩაატარა არაერთი ბრწყინვალე მატჩი. ორი მათ შორის შევიდა საუკუნის 20 საუკეთესო საჩოგბურთო ორთაბრძოლის სიაში. ამ სიას ხსნის მისი ორთაბრძოლა 1937 წლის „დევისის თასის“ გათამაშებაში გამოჩენილ გერმანელ ჩოგბურთელ ბარონ გოდფრიდ ფონ კრამთან (1909-1976). ეს ნახევარფინალური შეხვედრა ტარდებოდა უიმბლდონის სტადიონზე. ატმოსფერო იყო უკიდურესობამდე დაძაბული. გუნდური ანგარიში — 2/2. დონ ბაჯის და გოდფრიდ კრამის ორთაბრძოლაში წყდებოდა გუნდური შეხვედრის ბედი. გერმანიის მთავრობა იმდენად იყო დაინტერესებული მატჩის შედეგით, რომ თვით ადოლფ ჰიტლერმა დაურეკა თამაშის წინ, გასახდელში, გერმანელ ჩოგბურთელს და უსურვა მას გამარჯვება.

პირველი ორი სეტი მოიგო კრამმა 8/6, 7/5. შემდეგი ორი — ბაჯმა 6/4, 6/2. და აი, მეხუთე სეტში გერმანელი ჩოგბურთელი გადის წინ 4/1. დონი იგებს თავის მოწოდებას და მერე დრამატულ ბრძოლაში მეტოქის მოწოდებასაც. ანგარიში ხდება 3/4. შემდეგ თითოეული იგებს თავის მოწოდებას ანგარიშამდე 6/6. და ამ დროს ბაჯმა შეძლო კრამის მოწოდების მოგება და 7/6 იყო ანგარიში. გერმანელმა ჩოგბურთელმა შეძლო 5 მატჩპოინტის გაუვნებელყოფა, მაგრამ მეექვსეზე ყველაფერი დამთავრდა.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ, ბაჯმა დაიწყო მუშაობა მწვრთნელად, რეგულარულად მონაწილეობდა ვეტერანების ტურნირებში და როგორც ჯაზის დიდი მოყვარული, უკრავდა საქსაფონზე სხვადასხვა ანსამბლში.

1962 წელს ბაჯმა გულითადად მიულოცა როდ ლეივერს, რომელმაც გაიმეორა მისი უნიკალური მიღწევა. ამბობენ, რომ ბოლო ტურნირის ფინალის წინ, მან მიიწვია ავსტრალიელი თავის ქალაქგარე სახლში და მათ არა მარტო კარგად ისაუბრეს, არამედ ითამაშეს კიდეც ორი სეტი. დონ ბაჯმა ისეთივე როგორც თვითონ იყო, წითურთმიან ჩოგნის ბრძენს თითქოს გადასცა თავისი სიმბოლური ესტაფეტის ჩირაღდანი. ალბათ სიმბოლურია ისიც, რომ 1938 წელს, როდესაც დონ ბაჯიმ მოიპოვა „Grand Slam“-ი, დაიბადა ამ უდიდესი მიღწევის ორგზის მფლობელი როდ ლეივერი.

დონ ბაჯი გარდაიცვალა 2000 წლის 28 იანვარს ქალაქ სკრანტონში, პენსილვანიის შტატში, გულის შეტევის შედეგად, მას შემდეგ, რაც სერიოზული საავტომობილო ავარია განიცადა.

**ვლადიმერ ბოგლიძე,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

***„Grand Slam“-ის სიმბოლური კლუბი:***
*როდნეი ლეივერი — 1962, 1969*
*მორინ კონოლი (1934-1969) — 1953*
*მარგარეტ სმიტი — 1970*
*შტეფი გრაფი — 1988*

**HOPMAN CUP:** **ჩოგბურთი**

## სამხრეთაფრიკელებმა ტაილანდელებს სძლიეს

პერტში (ავსტრალია) მიმდინარე „Hopman Cup“-ის გუნდურ ტურნირში გუშინ მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა: შარშანდელი ფინალისტი — ტაილანდი სამხრეთ აფრიკას გადაეყარა და დამარცხდა 1:2 (თამარინ თანასუგარნმა და პარადორნ შრიჩაფხანმა წააგეს ამანდა კეტცერთან და უეინ ფერეირასთან).

ამრიგად, ორი ტურის შემდეგ „A“ ჯგუფში ორ-ორი მოგებით ლიდერობენ შვეიცარიის და სამხრეთ აფრიკის ნაკრები გუნდები, ორივე მატჩში დამარცხდნენ ტაილანდისა და ავსტრალიის კოლექტივები.

***სხვა შეხვედრები:*** B ჯგუფი. რუსეთი-სლოვაკეთი 2:1, აშშ-ბელგია 3:0.

# საუკუნე სუპერტურნირებით იწყება

## ვეიკ-ან-ზეეში კრამნიკიც თამაშობს და კასპაროვიც

**როგორც კონცერნ „კორუსის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, იგი 12-28 იანვარს მოაწყობს მორიგ ტრადიციულ საერთაშორისო საახალწლო ტურნირს ვეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია), რომელსაც უაღრესად საინტერესო და ძლიერი შემადგენლობა ეყოლება. ამ შეჯიბრებით, რომელსაც ფიდემ მაღალი, XIX კატეგორია მიანიჭა, დაიწყება 2001 წლის სუპერტურნირების სერია, ზოგი მიმომხილველი ჩოგბურთის „დიდ მუზარადს“ რომ ადარებს.**



კასპაროვი რევანშზე ფიქრობს

ის, რომ ვეიკ-ან-ზეეს ასპარეზობა მართლაც მეტისმეტად საინტერესოა, ამას ადასტურებს მასში თუნდაც მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკისა და ექს-ჩემპიონ გარი კასპაროვის მონაწილეობა. ახლა კასპაროვი აცხადებს, რომ იგი შეეცდება, უფრო ხანმოკლე გახადოს კრამნიკის „საჩემპიონო დრო“, რომ იგი დაამარცხა არა იმდენად ამ ახალგაზრდა დიდოსტატმა, არამედ მისი მტრების მთელმა გაერთიანებამ, რომელსაც არავითარი მორალური უფლება არა ჰქონდა ამ ბრძოლაში ჩარეულიყო. თუმცა, რა მორალზე არის ლაპარაკი — დაასკვნის კასპაროვი, რომელიც მიუთითებს კრამნიკის „არამკითხე მოკავშირეებზე“ ვასილი ივანჩუკზე, ბორის გელფანდზე და სხვებზე, რომლებმაც პრეტენდენტებს არაერთი იდეა მიაწოდეს. ასეთი ბრალდების საწინააღმდეგოდ მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი აცხადებს, რომ მას არავინ ეხმარებოდა ევგენი ბარეევის, ქოელ ლოტიესა და მიგელ ილესკაზის გარდა, რომლებიც ოფიციალური სეკუნდანტების როლს ასრულებდნენ, ეს კი მიღებული წესია. ამ სამეულის გარდა, კრამნიკმა დაასახელა თავისი კიდევ ერთი მრჩეველიც — საჭადრაკო სამყაროში ნაკლებად ცნობილი ვორონეჟელი დიდოსტატი ვლადიმირ ბელიკოვი (ჩვენ, რა თქმა უნდა, შემდეგშიც ახალ-ახალ ამბებს გავიგებთ — გ.გ.). თავისი წარმატება კრამნიკმა ასე ახსნა, რომ იგი, უბრალოდ რომ ვთქვათ, უფრო ძლიერი და მრავალმხრივი მოჭადრაკეა, ვიდრე კასპაროვი.

ახლა კასპაროვი ვეიკ-ან-ზეეში, რა თქმა უნდა, შეეცდება, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გაასწროს კრამნიკს. 2000 წლის იანვარში ეს მან იოლად გააკეთა, როცა 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულით დაუმარცხებლად პირველი ადგილი დაიკავა, კრამნიკმა კი 8 ქულით პეტერ ლეკოსთან და ვიშვანათან ანანდთან ერთად II-IV ადგილები გაიყო. არც ეს მონაწილეები არ დამარცხებულან.

რა თქმა უნდა, წლევანდელ ვეიკ-ან-ზეეში არის კიდევ რამდენიმე მონაწილე, რომელიც სულ არ აპირებს ტურნირი კრამნიკისა და კასპაროვის ორთაბრძოლად აქციოს. მათგან უნდა დავასახელოთ თუნდაც იგივე შარშანდელი დაუმარცხებელი პრიზიორები ანანდი და ლეკო. ლეკო ახლა, რა თქმა უნდა, ძალზე გულდაწყვეტილია, რომ მთელი წლის მანძილზე ესოდენ წარმატებით თამაშობდა და ყველაფერი წყალში სწორედ მსოფლიო ჩემპიონატში გადაყარა. რაც შეეხება ანანდს, იგი ხომ უკვე მრავალი წელია მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების პირველ სამეულშია ხან მეორე, ახლა კი მესამე ადგილზე. აქ ისიც ვთქვათ, რომ ანანდი, თუ ადრინდელი შედეგებით ვიმსჯელებთ, უკეთესი სატურნირო მებრძოლია, ვიდრე ლეკო, და პირდაპირ ვთქვათ, ვიდრე კრამნიკიც კი.

ვეიკ-ან-ზეეში ჩადის კიდევ რამდენიმე დიდოსტატი, რომლებიც მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველ ათეულში შედიან. დიდი მიხეილ ტალის ერთ-ერთი მოწაფე, უშიშარი ალექსეი შიროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი, რომლის მიმართ კასპაროვი არასოდეს ერიდება მკვეთრი კრიტიკული აზრის გამოთქმას, თუმცა, რა ვუყოთ იმას, რომ მოსკოველი მოჭადრაკე ამჟამად მეოთხეა მსოფლიოს წამყვანი დიდოსტატების რეიტინგ-ლისტში, მეტად შეუპოვარი მაიკლ ადამსი, ვასილი ივანჩუკი (ყოველი ტურნირის წინ სრულიად შეუძლებელია იმის გამოცნობა, ლვოველი პირველი იქნება თუ უკანასკნელი), ვესელინ ტოპალოვი...

ამ ცხრა მონაწილის გარდა ოთხი ადგილი დაეთმო ტურნირის ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენლებს. ესენია: განთქმული იან ტიმანი, რომელიც, შესაძლოა, უკვე ვეტერანად ითვლება, მაგრამ ახლაც სახიფათოა ნებისმიერი მეტოქისათვის, ჰოლანდიური ჭადრაკის „ახალი ტალღის“ წარმომადგენლები იერუნ პიკეტი, ლიუკ ვან ველი და... სერგეი ტივიაკოვი. ზოგ მკითხველს რომ არ გაუკვირდეს, გეტყვით, ყოფილი კრასნოდარელი დიდოსტატი უკვე რამდენიმე წელია ჰოლანდიაში ცხოვრობს, ვეიკ-ან-ზეეში თამაშის უფლება კი სპეციალური შესარჩევი შეჯიბრების მოგების შემდეგ მოიპოვა. ვეიკ-ან-ზეეს ახლანდელი ტურნირის კიდევ ერთი მონაწილეა ბელარუსი დიდოსტატი ალექსეი ფედოროვი.

აი ამ ტურნირის ორგანიზატორებმა უნდა თქვან, შეჯიბრება ჩვენ მოვაწყეთო...

**ბივი ბამრეკელი**



ვლადიმირ კრამნიკი თავისუფალ დროს ჩოგბურთს უთმობს

# დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი

მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა ახალი წელი დაიწყო მატჩით „სწრაფ ჭადრაკში“ ახალგაზრდა უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოსთან. შეხვედრა მიმდინარეობს ბუდაპეშტში და 12 პარტიისაგან შედგება, ამასთან, მეტოქეები დღეში ორჯერ თამაშობენ. ახლა კრამნიკს პროფესიულ საჭადრაკო რეიტინგში პირველი ადგილი უკავია, ლეკოს კი მეოთხე.

იმის მიუხედავად, რომ კრამნიკს აქამდე არასოდეს მოეგო ლეკოსთან, მან მატჩი წარმატებით დაიწყო. პირველ დღეს მსოფლიო ჩემპიონმა ერთ პარტიაში გაიმარჯვა, მეორე კი ყაიმით დასრულდა. მეორე დღეს კრამნიკმა კვლავ ერთი პარტია მოიგო, მეორე კვლავ ყაიმით დაასრულა და ამრიგად, 4 შეხვედრის შემდეგ წინ არის ანგარიშით 3:1.

# ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

ფიდეს საპრეზიდენტო საბჭომ მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო.

2001 წლის იანვრიდან მოყოლებული, ყველა ტურნირში, რომელიც ფიდეს ეგიდით ტარდება, დროის ახალი კონტროლი იქნება შემოღებული. თუ აქამდე პარტია 7 საათს გრძელდებოდა, ახლა დრო 3,5 — 4 საათამდე შეიკვეცება (და მაშინ ნახეთ, რა დღეში იქნებიან ისინი, ვინც წამდაუწუმ ცაიტნოტში ხვდება). პირველი 40 სვლისთვის მოჭადრაკეს 1,5 საათი მიეცემა, შემდეგ კი სულ 20 წუთი პარტიის ბოლომდე. ამ დამატებით 20 წუთში მოჭადრაკეს თითოეულ გაკეთებულ სვლაზე (რობერტ ფიშერის ცნობილი რეკომენდაცია!) 30 წამი ემატება.

მიღებულია ქალთა შორის ყოველწლიური (!) მსოფლიო პირველობის ჩატარების ახალი დებულება. დასაწყისში ჩატარდება ზონალური ტურნირები (აქ ქართველებს არასოდეს გასჭირვებიათ თამაში), რომელსაც კონტინენტური ასპარეზობები მოჰყვება. ამ კონტინენტურ შეჯიბრებებში გამარჯვებული 64 დიდოსტატი და ოსტატი (მათ რიცხვში მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის 4 ნახევარფინალისტი და 4 საუკეთესო რეიტინგის მქონე) ითამაშებს მსოფლიო თასზე (მისი საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარია). 32 მათგანი, ვინც თავი გამოიჩინა მსოფლიო თასის პირველ ეტაპზე, შემდეგ უკვე ე.წ. „გრან-პრის“ ტურნირებზე იქნება მიწვეული. ასეთი ტურნირი სულ ორია. ის 8 მონაწილე, რომელიც ამ ორ ტურნირში საუკეთესო შედეგებს მიაღწევს, შემდეგ პრეტენდენტების ტურნირში ითამაშებს ნოკაუტ-სისტემით. აქ გამარჯვებული კი ცხადდება მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთ ოფიციალურ პრეტენდენტად და წლის მიწურულში მსოფლიო ჩემპიონ სიე ჟუნს შეხვდება.

ევროპის პირველობა უკვე აპრილში პოლონეთში ტარდება და ეძღვნება პოლონეთის საჭადრაკო ფედერაციის დაარსების 75 წლისთავს.

ფიდე აპირებს მიაღწიოს საერთო ენას „ბრეინ გეიმზის“ („ინტელექტუალური თამაშები“) კომპანიასთან, რომელმაც ამას წინათ ჩაატარა კასპაროვ-კრამნიკის მატჩი მსოფლიო პირველობაზე და უმაღლეს დონეზე შეჯიბრებების მოწყობის საკუთარი გეგმაც აქვს. თუ მათ შორის შეთანხმება მოხდა, მაშინ საჭადრაკო სამყაროში სტაბილურობა დამყარდება. ეს სტაბილურობა რეალური იქნება, თუკი გამომუშავდა ისეთი სისტემა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა უძლიერესი დიდოსტატი, კასპაროვის, კრამნიკისა და კარპოვის ჩათვლით.

ფიდე კავშირს ამყარებს უდიდეს კომერციულ ტურნირებთან (ვეიკ-ან-ზეე, ლინარესი, სარაევო, დორტმუნდი და სხვა), რომლებშიც მიღწეული შედეგები უძლიერეს ვაჟ დიდოსტატებს შემდგომში მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის შესაძლებლობას მისცემს.

# ჩინელი მოჭადრაკე ქალების უხვი გასამრჯელო

**ახლა, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ჩინელია — სიე ჟუნი და ამ ქვეყნის ნაკრებიც მსოფლიოში უძლიერესი. მან ხომ ჯერ ელისტის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა და ეს წოდება 2000 წელს სტამბოლშიც შეინარჩუნა.**

**ჩინეთის საჭადრაკო ფედერაციის დადგენილებით, ამ ქვეყნის წამყვან მოჭადრაკეთა ჯგუფი საკმაოდ უხვ გასამრჯელოსაც იღებს — 1000-1500 დოლარს თვეში. ასეთი ხელფასი არც ერთი სხვა ქვეყნის მოჭადრაკე ქალებს არა აქვთ.**

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**5 იანვარი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ბობი ჩარლტონიდან დიეგო მარადონამდე. I ნაწილი (20.30), ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არდადეგების დროს“ ევროპის ჩემპიონატი: იუგოსლავია — ესპანეთი (14.05, 19.15, 16.55, 23.10), ევროპის ფეხბურთი (21.00). ***НТВ плюсспорт.*** კალათბურთი. სუპერლიგა. ვაჟები: ცსკა — „კროაცია“ (15.15). ტაილანდური კრივი (20.15), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (21.10), ნბა-ს საკალათბურთო მიმოხილვა (0.40). ***EUROSPORT.*** ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიიდან (12.00, 14.15), ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი გერმანიიდან (22.30).

**6 იანვარი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ბობი ჩარლტონიდან დიეგო მარადონამდე, II ნაწილი (20.20). საქართველოს ხმა. იტალიის ჩემპიონატი „იუვენტუსი“ — „ფიორენტინა“ (23.30), ***НТВ плюс футбол.*** „საფეხბურთო არდადეგების დროს“, ევროპის ჩემპიონატი: სლოვენია — ნორვეგია (13.15, 19.35. საფრანგეთი — ჰოლანდია (15.50), ევროპის ფეხბურთი (15.00), ჰოლანდიის ჩემპიონატი. მატჩი №1 და №2 (17.35, 21.40). იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი (23.25, 1.35), ***НТВ плюсспорт.*** ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი, ფინალი (11.40), კალათბურთი. ნბა. „ფილადელფია-76“ — „სიეტლი სუპერსონიკსი“ (20.30). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (19.00), აზიის ფეხბურთი (23.30), იტალიის ფეხბურთი (2.30). ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი — დაკარი (11.30, 1.30, 4.15), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.45, 15.15... 23.30).

**7 იანვარი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ფეხბურთი. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატი, I ნაწილი (20.10), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15, 23.25), ესპანეთის (15.00, 1.35), ჰოლანდიის (16.45, 19.15), კოლუმბიის (18.30); „საფეხბურთო არდადეგების დღეებში“, ევროპის ჩემპიონატი: საფრანგეთი — ჰოლანდია (21.40). ***НТВ плюсспорт.*** კალათბურთი. ნბა (14.30), კატერებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.20), კიკბოქსინგი. მატჩი პროფესიონალთა შორის (23.30). ***ESPN.*** აზიის ფეხბურთი (6.00, 7.00), იტალიის (12.30, 19.00), ესპანეთის (2.00), ჩემპიონატები ფეხბურთში. ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.15, 15.15... 18.15, 21.30, 23.00).

# კროსვორდი №1



**თარაზულად:** 5. რუსეთის კლუბი შაიბიან ჰოკეიში, 6. ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 9. ქართული ხალხური სპორტული თამაში, 10. საქართველოს 2000 წლის რჩეული სპორტსმენი, 11. მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 16. შაიბიანი ჰოკეის სამშობლო, 17. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 20. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 21. იტალიის სერია „A“-ში მოთამაშე ცნობილი ფორვარდი, 24. წარსულში გერმანელი ფეხბურთელი, მცველი, 26. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 27. რუსთავის საკალათბურთო გუნდი, 28. იტალიის სერია-A-ს კლუბი, 29. შვედი ჩოგბურთელი ვაჟი.

**შვეულად:** 1. საჭადრაკო ფიგურა, 2. ცურვის ყაიდა, 3. ქართველი ფეხბურთელი, მეკარე, 4. წარსულში ცნობილი ბრაზილიელი მრბოლი „ფორმულა“-1-“-ში, 7. 80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 8. წარსულში ქართველი ხელბურთელი, 12. იტალიის საკალათბურთო გუნდი, 13. ქართველი წყალმხტომი ქალი, 14. წარსულში ცნობილი დანიელი მოჭადრაკე ვაჟი, 15. ბათუმის დინამოელი ფეხბურთელი, მცველი, 18. უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო, 19. სპორტში, იურიდიული პირი — თავისუფალი..., 22. წარსულში ცნობილი ამერიკელი ფალავანი, 23. ცურვის ყაიდა, 25. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 27. საწყლოსნო სპორტის ატრიბუტი.

## №102 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. ატაცი, 5. ფონტენი, 9. რიოსი, 10. ოუენი, 11. ბრემე. 12. ბოსერტი, 13. იგიტა, 15. ონილი, 17. ალამი, 19. ორბუ, 22. ფილია, 25. კნუპი, 26. ოფსაიდი, 29. შირეა, 31. ლემიე, 32. ემე, 33. ილი, 34. „ლეგია“, 36. ნარდი, 37. ილიე, 38. არიფი.
**შვეულად:** 1. „აზოტი“, 2. ათენი, 3. ირიბარი, 4. ბოისა, 5. ფიორე, 6. ნებიოლო, 7. ედერი, 8. ივერი, 14. გოლფი, 16. ლოუ, 18. მაი, 20. რინგი, 21. ლიგა, 23. ლასკერი, 24. ატილიო, 27. ილინი, 28. ამორო, 29. შელია, 30. რაგბი, 35. ალი.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

**2001 წლის №101-ში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. კa7! მუქარა 2. ლ:d7X.
1. ...კd6 2. ლe4X. 1. ...d5 2. ლb6X.
1. ...d6 2. ლc4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.